წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. შაბათი, 15 აგვისტო 1915 წ. № 70

# საქართველო

ხელის მოწერა და დაბეჭდვის შესახებ მოლაპარაკება „საქართველოს" კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი: ხუთსტრიქონიანი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოეულ სტრიქონზე 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.

## დღევანდელ ნომერში 6 გვერდია

### „საქართველოს" კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო" 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ცალისის გამოცემა—40 კ. მოვაგონებთ „ყლდის" იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო" გაეგზავნებათ მხოლოდ 1 იანვრამდე.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело", Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაგვიანებული ფული აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

ოთხშაბათს, 12 აგვისტოს საღამოს 5 საათზე ქ. ქუთაისში გარდაიცვალა ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

**თავადი იასონ დავითის ძე**

**გელოვანი,**

რასაც ულმეს მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე ქნეინა ელენე მერაბის ასული, შვილები: ბაბო ნიჟარაძისა და თავადი შოთა გელოვანი მეუღლებით და შვილიშვილები: გუგულა და ზინა კვიტაშვილის ასულნი.

პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 6 საათზე. მიცვალებულის გამოსვენება საკუთარი სახლიდან საკრებულო ტაძარში—შაბათს 15 აგვისტოს დილის 8 ½ საათზე. წირვისა და პანაშვიდის შემდეგ მიცვალებულს გაასვენებენ ლეჩხუმში სოფ. ახალუბანს, სადაც ტირილი და დაკრძალვა საგვარეულო ეკლესიაში დანიშნულია 19 აგვისტოს ოთხშაბათს დილით.

7 აგვისტოს სოფელ მუხიანში გარდაიცვალა

**რაჟდენ აბთანდილის ძე**

**კვეზერელი-კოპაძე**

მიცვალებულს ჩამოასვენებენ თბილისში. დაკრძალვა მოხდება კვირას 16 აგვისტოს ალაბარში წმ. მარინეს ეკლესიაში. წირვა და პანაშვიდი 9½ საათზე.

**ახალი კლუბი**

ერთი კვირის პროგრამა 17—23 აგვისტომდე.

**ორშაბათი**—ოპერეტა.

**სამშაბათი**—სიმფონიური კონცერტი. ი. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით. მონაწილეობას მიიღებს მომღერალი ქალი საიმპერატორო თეატრებისა ა. მ. პასხალოვისა.

**ოთხშაბათი**—ოპერეტა ქართულ ენაზე, წარმოდგენილი იქმნება 1) „მეჯლისი იტალიელებით" და მეორე „ქორწილობის წინ".

**ხუთშაბათი**—ქართული წარმოდგენა, წარმოდგენილი იქნება „დედის ერთა" და „ფორიას ღელე" ბალში დაუკრავს სამხედრო ორკესტრი.

**პარასკევი**—სინემატოგრაფი, სეანსის შემდეგ ბალში დიდი ორკესტრი დაუკრავს.

**შაბათი**—სიმფონიური კონცერტი, ი. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით; მონაწილეობას მიიღებს მომღერალი ქალი საიმპერატორო თეატრისა ა. მ. პასხალოვისა და ი. თამაშევიჩი.

**კვირას**—საბავშვო საღამო-სეირნობა სინემატოგრაფით, ცეკვით და სამხედრო ორკესტრით.

სინემატოგრაფის დასაწყისი საღამოს 8½ საათზე, წარმოდგენა და სიმფ. კონცერტებისა სად. 9 საათზე, საბავშვო საღამოსი 5-დან 9 საათამდე. სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან ჩვეულებრივ ფასს.

ანონსი: სამშაბათს, 25 აგვისტოს, ბენეფისი ივ. პ. სარაჯევისა.

**„ხარფუხის კლუბი"**

პროგრამა 15—16 აგვისტომდე

საზაფხულო სადგომი, მიხეილის პროსპექტი, № 131.

| | |
|---|---|
| შაბათს 15 აგვ. | **საოჯახო საღამო** ქართული ოპერეტკა შესვლა ოპერეტკაზე უფასოა. |
| კვირას 16 აგვ. | კონცერტი ი. პ. სარაჯიშვილის და საიმპერატორო თეატრის არტისტის ი. ტომაშევიჩის და სხვათა მონაწილეობით. |

სტუმრები იხდიან ჩვეულებრივ ფასს.

იმ საშინელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ქართული თეატრი და თავად-აზნაურობის სხვა შენობები, დროებით დაკეტილი

**„კაფე პარიზი"**

გაიხსნა წინანდელ შენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლაში,

იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.

ყოველ-დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებური საჭმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.

პატივისცემით დ. გიგიბერია.

ხილეული, მადნეული და სამკურნალო წყლის

ქარხნები

**მ. ე. ლაღიძე და ამხ.**

თბილისში, გოლოვინის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5.

**ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების საყურადღებოდ!**

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: **სვან ყოველთვის** მხოლოდ და მარტო **მიტროფანე ლაღიძის** და **ამხანაგობის** ქარხნის **საუკეთესო** ხილეულ მადნეულის სამკურნალო **წყალი. მხოლოდ ლაღიძის** წყალი მზადდება **უმაღლესი ღირსების ბუნებრივი** მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნადუღი და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, **მოითხოვეთ ყველგან** ნამდვილი **ლაღიძის წყალი,** გემო და სუნი საამური აქვს და ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

პირველხარისხოვანი

**სასადილო „კაფე ბორდო"**

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

**ჟავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე** დილის 9 საათიდან 12 საათამდე. **სადილი** 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები". თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოზის ძე

**კალანდარიშვილი**

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

**გადაწერას საწერ მანქანის საშვალებით და საწერ მანქანაზე მუშაობის სწავლებას**

ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს

**ი. თ. გათუას კანტორა**

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და სად. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ძ. ბორში

**ექიმი** ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

# ომის დღიური

## მიმოხილვა

იაკობშტატისა, რიგისა და დვინსკის დასავლეთით კვლავ გრძელდება მკაცრი ბრძოლა, თუმცა ბრძოლის პირი არ შეცვლილა. ვილნოდან მოყოლებული ბელოსტოკამდე რუსის ჯარი თანდათან იკრიბება ვილნო-გროდნო-ბელოსტოკის რკინის გზის ჩრდილოეთით. იგი ცდილობს ვილნო-გროდნოს მიდამოებში შეაჩეროს მოპირდაპირე, რათა ბელოსტოკის რაიონიდან მომავალ ჯარს მისცეს დრო და საშუალება სამშვიდობოს გამოსვლისა.

გერმანელნი მოადგნენ ბელოსტოკს დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდანაც უვლიან. ბელოსტოკსა და ბრესტის შუა მოპირდაპირე გამოიჭრა აღმოსავლეთით და ლამობს ბრძოლის პირის გაპობას. სხვაგან, მთავარ შტაბის სიტყვით, შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა.

მ. ბ—ლი.

## დეპეშები

**თბილისი, 13 აგვისტო.** კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 11 აგვისტოს რუსის ჯარებმა პასინის ხეობაში კიზლიარის მთა აიღო. ვანის მიდამოებში რუსის მზვერავებს შეტაკება ჰქონდათ ქურთებთან. ომის ასპარეზის დანარჩენს ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

**პეტროგრადი, 13 აგვ.** ოფიციალი. რიგის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. ფრიდრიხ შტადტის სამხრეთ დასავლეთით შინბერგ-რაძივილიშკის რაიონში 11—12 აგვ. განმავლობაში გერმანელებმა შემოიკრიბეს ძალები და იერიშით წამოვიდნენ. სასტიკი ბრძოლა გრძელდება. დვინსკის მიმართულებით ონიქშტის რაიონში, მდ., სვენტზე, რუსებმა თავის მხრით დააწევინეს გერმანელებს. ვილნას მიმართულებით რუსებმა 11—12 აგვ. განმავლობაში წინა პოზიციებზე, შემდეგ კი მდ. ვოლიის ორთავე ნაპირებით უკან დაიხიეს. შუა ნემანზე და მდ. ბობრ-პრიპიატის ფრონტზე რუსის ჯარები თანახმად უმაღლესი განკარგულებისა აღმოსავლეთისკენ იხევენ. გერმანელები მხოლოდ რამდენიმე ალაგას ავიწროვებენ რუსებს, 12 აგვ. ბელოსტოკისა და ბელოსტოკ-კლეშჩელის აღმოსავლეთით მათ შემოიკრიბეს ახალი ძალები და იერიშით წამოვიდნენ. დანარჩენ ადგილას მდგომარეობა უცვლელია.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### იტალია-გერმანეთის ომი.

ომის გამოუცხადებლად იტალიამ სამხედრო მოქმედება დაიწყო გერმანეთის წინააღმდეგ: ადრიატიკაში იტალიელებმა შეიპყრეს გერმანეთის წყალქვეშა.

### რუმინეთი.

რადგან რუმინეთი გერმანელების სამხედრო მასალას არ უშვებს თავის ტერიტორიაზედ ოსმალეთში წასაღებად, ამიტომ ჰფიქრობენ, რომ გერმანეთის მთავრობა ულტიმატუმს წარადგენს ბუქარესტში. რუმინეთის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს უარი უთხრას გერმანეთს. ჯარის მობილიზაციას რუმინები ერთს თვეში მოახერხებენ. რკინის გზის უფროსებს მოწერილობა აქვთ დაგზავნილი გზების სამხედრო მინისტრისათვის ჩაბარებისა.

### ებრაელთათვის.

პეტროგრადიდან მიღებულ ცნობის მიხედვით, სატახტო ქალაქის გარდა ებრაელთ აკრძალული აქვთ დასახლება დონის ოლქში და თურქესტანში.

### „დარდანელის აღება" მოსკოვში.

„რან. უტრო" გვატყობინებს მოსკოვიდან მანიფესტაციის დროს ერთმა ორატორთაგანმა ისეთი სიტყვები იხმარა, რამაც პოლიციის ჩარევა გამოიწვია. როდესაც ხალხმა შეიტყო, პოლიციას ორატორის დატუსაღება უნდათო, შეტაკება მოჰხდა ხალხისა და პოლიციის შორის, რომლის დროსაც მრავალი მოქალაქე იქმნა დაჭრილი; დაშავებული აღმოჩნდნენ აგრეთვე 3 პოლიციელი და ერთი უბნის ზედამხედველი. პოლიციამ რამდენიმე კაცი წაიყვანა ძალით პოლიციაში. ხალხი გაეშურა პოლიციისაკენ და მოითხოვდა დაპატიმრებულთა განთავისუფლებას,—ამავე დროს ხალხი საშინლად უშენდა ქვას პოლიციელებს. ცხენოსანმა პოლიციელებმა ხალხს უკან დაახევინეს. კრაშენინიკოვთან მოლაპარაკების შემდეგ, ხალხი გაეშურა ქალაქის უფროსთან („გრადონაჩალნიკ"-თან) დატუსაღებულთა განთავისუფლებისათვის სათხოვნელად, მაგრამ ქალაქის უფროსი სახლში არ დაჰხვდათ. მანიფესტანტები დაიშალნენ.

### გროდნოს მნიშვნელობა.

„რეჩი" სწერს: კოვნოს და ოსოვეცის ადგილს ეხლა გროდნო იჭერს, რომელიც ძლიერს სიმაგრეს წარმოადგენს. ოსოვეცის მნიშვნელოვანი სიმაგრეები რუსებმა იმიტომ კი არ დასტოვეს, რომ მას არ შეეძლო მტერს გამკლავებოდა, არამედ იმიტომ რომ მტერი შორით უვლიდა და ოსოვეცს გზის გადაჭრით და ალყის შემორტყმით ემუქრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ კოვნო გერმანელებმა დაიპყრეს, მდ. ნემანის თავდასაცველი მნიშვნელობა არ შემცირებია, ამ პირზედ რუსის ჯარს ჯერ კიდევ თავისუფლად შეუძლია მოქმედება. რუსების სამხედრო ავტორიტეტების აზრით, რუსებმა ისეთ ადგილებისაკენ უნდა დაიხიონ, საიდანაც ადვილად შესძლებენ, ჯარის შევსების და სამხედრო მასალის დაგროვების შემდეგ, გერმანელებზედ იერიშით მისვლას და მათს განდევნას რუსეთის საზღვრებიდან.

## „შინაგანი დაბრკოლება"

დამნაშავე უსაქმურობას იჩენს ქართველი საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის უიღბლობამ მესვეურობის დროშა ხელში დააჭერინა! დღესაც ისეთივე სრული უქონლობა მოვალეობის შეგნებისა, როგორც გუშინ, დღესაც ისეთივე უდარდელობა და უზრუნველობა, როგორც წინეთ, ჩვეულებრივ დროს! დღესაც იგივე სიზანტე და უმწეობა, როგორც ადრე! ვერც დროს მოუხდენია მასზე თავისი გავლენა და ვერც გარემოს. ცხოვრების ჩვეულებრივი მიმდინარეობა, თუ მისი ჯერ უნახული, შფოთიანი ტრიალი, ერთი და იგივეა მისთვის. დღევანდელი ხიფათით სავსე მდგომარეობა, თუ გუშინდელი, შედარებით უფრო ლმობიერი,—ერთნაირის ენით ესაუბრება მის ყურს! ქართველი კაცი

გალხობილი ნებისყოფა, ეროვნულ მოვალეობას გადაჩვეული გრძნობა და მომავლის გათვალისწინებას მოკლებული გონება, ქვეყნის საშინელ ტკივილს ვერ აუმოძრავებია!

საქართველო წარიღვნა.

დამშეული საქართველოს გამოკვება გარდუვალ საკითხად წამოაყენა დღევანდელმა მომენტმა. მომავალ წლის შემოდგომამდე გამოსაკვებია მთელი ორ ნახევარი მილიონი სული. ეს ამოდენი სარჩო-საბადებელი უნდა გარეიდან იქმნას შემოტანილი. ათასობით ფუთი ხორბალი არ კმარა. საჭიროა მილიონობით.

ამ გვარი ფართე საზოგადო გაჭირვების დაყვავებას შინაურის წესით ქართველი ხალხი ვერ შესძლებს ისეთ დროს, როდესაც ოჯახის მარჩენელ ხელს —გუთნის ნაცვლად, ხმალი უჭირავს

აუცილებელია მთავრობის დახმარება დიდის მაშტაბით; მან უნდა ფულიც გაილოს და საკვების შემოსაზიდათ ვაგონების საჭირო რიცხვი დაუთმოს დამშეულ ქართველობას. მთავრობა დღეს კეთილის სურვილით უყურებს ამ გვარ საკითხებს; მის დროშის ქვეშ მებრძოლთა ცოლ-შვილს იგი უყურადღებოდ ვერ დასტოვებს. საჭიროა მხოლოდ თვით ქართველი ხალხის სათანადო დეპუტაცია მთავრობის სასახლეს მიადგეს და კარს მძლავრად დაუკაკუნოს! მიუხედავათ იმისა, რომ არავითარი **გარეშე დაბრკოლება** წინ არ გველობება, დღემდე ეს ნაბიჯი ქართველ საზოგადოებას ვერ გადაუდგამს!

მოწინავე საზოგადოების ეს დამნაშავე უმოქმედობა შედეგია წმინდა **„შინაგანი დაბრკოლებისა“**, რომელიც ძლიერად [illegible] ქართველს და გასაქანს არ აძლევს. ეგ არის უნებისყოფობა და ხასიათის დავრდომილობა. მტერი ისევ ჩვენს ბუნებაში მარხია დ ვიდრე იგი არ იქნება ძლეული, ვიდრე ჩვენ პიროვნულად სულიერ არ გარდვიქნებით, მთელი ქვეყანა ჩვენი მშველელიც რომ იყოს, სიკვდილის ჯვარი მაინც თავს წამოგვადგება!

ს. კ—დია.

## გ ა ა ს ი

### XXI

**დარდანელი.**

ნახევარი წელიწადი მალე შესრულდება, რაც მხნედ ეკვეთნენ დარდანელს ფრანგნი და ინგლისელნი, ბევრი სისხლი დაჰღვარეს, დიდი მსხვერპლი შესწირეს, მაგრამ მაინც შავის ზღვის კარი ვერ გააღეს და რუსეთს ძმური ხელი ვერ გაუწოდეს. მიუხედავად ამისა მოკავშირენი თავს არ ანებებენ დარდანელს და სცდილობენ დასცენ ძირს ეს კლდოვანი კუთხე და

რუსეთს კარი გაუღონ.

ასეთის ჯიუტობის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ მოკავშირენი მტკიცედ და სინდისიერად ასრულებენ კავშირის პირობას, რომ ჯაფას და ფულს არ ჰზოგავენ რუსეთის საკეთილდღეოდ და სხვა. ეს ყველა კარგი, მაგრამ ნუ თუ ევროპიელებს, დაავიწყდათ ძველებური თქმულებანი, ქართულად ასე ჩამოსხმული: ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოო, ან შინ რომ ბავშვი ტიროდეს, გარედ ტაბლას რა უნდაო.

გერმანია ხმა-მაღლა გაიძახის, რის ფლავი, რის ჩლავი, რა დროს გულჩვილობაა და რაღაც „სანტიმენტებიო“. ევროპა უნდა დავიმორჩილო და ჩემს ქეიფზე ვატრიალო მისი ბედი და ჩარხიო. მორჩა და გათავდაო. თუ გერმანია მგლობას ჰქადაგობს, ნუ თუ საფრანგეთმა და ინგლისმა კრავის სულიერი ვითარება შეითვისა და სხვისთვის ჰღვრის თვის შვილთა უმანკო სისხლს და აპნევს ეროვნულ ქონებას. ეს როგორღაც ჭკუაში არ მოდის და ეტყობა, რომ ძაღლის თავი სხვაგან უნდა იყოს დამარხული.

პოლიტიკურად განვითარებული ერი თავის დღეში ასეთს გზას არ ამოირჩევს. კუდა ხარობას, რომელიც სხვას ბუზებს უგერებდა, ვერ იკისრებს ვერც ინგლისი და ვერც საფრანგეთი. კუდა ბზიკობა ბედი და ხვედრია იმისთანა პოლიტიკურად მოუმწიფებელის ერისა, როგორიც საქართველოა. ჩვენ ლამის კოლო-ბუზებმა, კრაზანებმა და ათასმა ჭია-ღუამ შეგვჭამოს, ჩვენი რჩეულნი კი, ეგრედ წოდებულნი დეპუტატნი სხვებს უგერებენ ბუზებს. დიდ ხანს იქნება ასე, ვიდრე პოლიტიკურად არ დავმწიფდებით, ხოლო ასეთს კუდა-ბზიკობას ვერ ვაკადრებთ ვერც ინგლისს და ვერც საფრანგეთს.

ამ დღეებში ბ-ნმა ვ. ჟაბოტინსკიმ დასწერა ფრიად საყურადღებო წერილი შესახებ დარდანელისა. ავტორი გვაუწყებს, რომ ინგლისი და საფრანგეთი დარდინელთან თავიანთ საქმეს იკეთებენ და კუდა-ბზიკობაზე ძალიან შორს არიანო. თავს მოიკლავენ, არავითარ მსხვერპლს არ მოერიდებიან, დარდანელს გაარღვევენ და ეხტიბარს არ გაიტეხენ აფრიკის მუსულმანთა თვალშიო.

მთელი ჩრდილო აფრიკა: მაროკკო, ალჟირი, ტუნისი და ეგვიპტე ფრანგებსა და ინგლისელებს ეკუთვნის. აქა სცხოვრობს თურმე 35 მილიონი კაცი და ქალი. ევროპიელთა რაოდენობა რაღაც მილიონის სამს მეოთხედს უდრის. ჯარიც ცოტა ჰყავთ დაბანაკებული ფრანგებს და ინგლისელებს. ეგვიპტეში სულ რაღაც 3000, ხან კი 6000 კაცი. ფრანგებს კიდევ ბევრი-ბევრი ორი კორპუსი, ვსთქვათ ასე 100,000. ცხადია, რომ ასეთის ლაშქრით ვერ შეიოკებ 35 მილიონს.

მაშ რა ძალაა ეს დამაოკებელი ძალა? პრესტიჟი, სახელი ევროპელისა. ევროპელს ისლამი ვერ დასძლევს. ერთი წყობა ჯარისა კიდეც რომ გაუწყვიტოთ, მოვა ნავ-ხომალდით ევროპელი და სულ ამოგვაწყვეტავსო. ჩრდილო აფრიკაში თურმე გამეფებულა თავგის პსიხიკა: აბა სად მოიძებნება კატაზე ძლიერი მხეციო... არაბნი, მაროკანელნი, ალჟირ-ტუნისელნი გაფაციცებით ადევნებენ თვალს დარდანელის ბრძოლას. „გილიუმს“ (ვილჰელმი) შეუძლიან ვარშავა, სხვა ქალაქებიც აიღოს, მაგრამ რაკი დარდანელს დაეტაკნენ ფრანგ-ინგლისელები, მათთან ვერას გახდება და მაშასადამე წყნარად უნდა ვისხდეთო.

ესა ყოფილა მიზეზი, რომ ინგლისელები და ფრანგები თავს იმტვრევენ დარდანელის კლდეებთან. უნდათ შეინარჩუნონ „პრესტიჟი“, სახელი და ხომ მოგეხსენებათ, რომ სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიან.

ფრანგები და ინგლისელები ისე გაბრაზდნენ, რომ მუქარა შეუთვალეს ბოლგარეთს, სერბიას და საბერძნეთს. უკანასკნელს პირდაპირ უთხრეს, წაგახრჩობთ, თუ ჩვენს ნებას არ დაჰყვებით. აასრულებენ კიდეც მუქარას, თუ გაჯიუტდა საბერძნეთი და მოკავშირეთა სურვილს არ აჰყვა.

მაშ ასე, კუდაბზიკობა მარტოდ მარტო ჩვენი ბედია და ხვედრი, მარტო ჩვენ უნდა ვუკმიოთ სანთელსაკმელი ამ ახირებულ მოვლენას, მარტო ჩვენ უნდა ვიმოსებოდეთ დახავსებულ ჩაფხუტ-ჩაჩქანით და უგერიოთ სხვას ბუზები. ევროპელნი კი, ჩვენზედ ჭკვიანნი, თავიანთ საქმეს აწაღმართებენ.

ა.—ლი.

## საქართველოს ეკზარხოსის დეპეშა

სრულიად საქართველოს ეგზარხოსმა, ყოვლად-უსამღვდელოესმა პიტირიმმა შემდეგი საპასუხო დეპეშა გაუგზავნა დეპუტატს აკაკი ჩხენკელს:

**„თანახმად მღვდლის მაჯგანაძის თხოვნისა დავნიშნე გამოძიება, ხოლო სოხუმის ეპისკოპოზს წინადადება მივეცი დეპეშით, რათა მაჯგანაძე დასტოვოს ილორის ეკლესიის მღვდლად სანამ მის საქმეს სასინოდო კანტორა გაარჩევდეს.**

**დიდად ვწუხვარ, რომ ვერ გინახულეთ თქვენს წაბრძანებამდე პეტროგრადში. ჩემი აზრთა თქვენდამი გაზიარება და თქვენი მხრით შესაფერი დაჟინებითი თხოვნა დიდ სარგებლობას მოუტანდა ჯვაროსან საქართველოს იქ, სადაც უძლურია ყოველი ჩემი ზრუნვა და მხურვალე მუდარა.**

**ნება მიბოძეთ თქვენი დახმარების იმედი ვიქონიოო“.**

საქართველოს ეგზარხოსი **პიტირიმი.**

## ახალი ამბავი

◆ **სამძიმრის დეპეშა.** თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს: თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა გულწრფელ სამძიმარს უცხადებს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას თავ. იასონ გელოვანის გარდაცვალების გამო, რომელშიაც სამშობლომ დაჰკარგა თავისი მოსიყვარულე შვილი და ფრთხილი დარაჯი ყოველივე კეთილშობილური საქმისა“.

◆ **საზურთალოს მამული.** თავად-აზნაურობას აქვს საზურთალოზე 120 დესეტინა ადგილი, რომელიც ჯერ-ჯერობით არავითარ სარგებლობას არ იძლევა. ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მიერ შემუშავებულ პროექტის თანახმად თავად-აზნაურთა საკრებულომ აირჩია ტეხნიკურ-ეკონომიური კომისია, რომელსაც დაავალა ხსენებული მამულის მოვლა ისე, რომ იგი რაიმე შემოსავალს იძლეოდეს. კომისიის წევრებად არიან ბ-ნნი ქურდიანი, ყაზახაშვილი და მამრაძე.

◆ **რევიზია.** სინოდის კანტორამ დაავალა ანჩისხატის მოძღვარს დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძეს, რევიზია მოახდინოს საექსარხოსოს ქართულ მონასტრებში, ხოლო რუსული მონასტრების რევიზია დაავალა დეკანოზ გოროდცევს.

◆ **გადამდები სენი.** 14 აგვისტოს ქალაქის თავშესაფარში იმყოფებოდნენ: ქუნთრუშიანი 33, ხუნაგიანი 16, ყვავილიანი 2, სოფლიანი 14, მუცელაიანი 5 და შავი სახადიანი 34 კაცი.

◆ **ვაჟა-ფშაველას** დამკრძალავ კომიტეტს უკანასკნელი კრება ჰქონდა 13 აგვისტოს თავმჯდომარეობდა გ. ლასხიშვილი. როგორც კრებაზე გამოირკვა, ვაჟას დასაკრძალავად შემოსულა სხვა და სხვა დაწესებულებისა და კერძო პირთაგან 2.525 მან. ამ რიცხვში არ შედის ის ფული, რომელიც ჯერ კიდევ უნდა შემოიტანონ, აღთქმისამებრ, რამდენიმე დაწესებულებამ და კერძო კაცმა. დახარჯულა სულ პოეტის დასაკრძალავად 1.605 მან. 55 კაპ., დარჩა კომიტეტს ნაღდი ფული 919 მან. 45 კაპ. კომიტეტმა დაადგინა, რომ ორი მესამედი ამ ფულისა და აგრეთვე მოსალოდნელი შემოსავალი მიეცეს პოეტის ქვრივს შვილების აღსაზრდელად, ხოლო დანარჩენი ერთი მესამედი გადაეცეს წ. კ. გ. საზოგადოებას სალიტერატურო ფონდის გასაძლიერებლად. კომიტეტმა აგრეთვე დაადგინა ნაღდი ფული და ყოველივე საბუთის ქაღალდი ეხლავე გადასცეს ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას, რომელიც შეასრულებს კომიტეტის დადგენილებას. დასასრულ კომიტებმა გადასწყვიტა, 8 სეკტემბერს, ვაჟას გარდაცვალების 40 დღის თავზე, პანაშვიდი იქმნას გადახდილი დიდუბის ეკლესიაში.

◆ **ხოლერა.** 13 აგვისტოს ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს ხოლერიანი 5 და ხოლერის ნიშნებით 2 კაცი. 14 აგვისტოს საავადმყოფოში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 65, ხოლო ხოლერის ნიშნებით 4 კაცი.

◆ **ქალაქის წყალი.** ბაქტეროლოგიურ ანალიზს ყოველ დღე უკეთებს წყალს ექიმი მუხარინსკი, მაგრამ ხოლერის ვიბრიონები ჯერ-ჯერობით ქალაქის წყალსადენის წყალში არ აღმოჩენილა.

◆ **ქალაქის მოურავის** მოადგილემ ა. მ. არღუთინსკიმ გუშინ წარუდგინა გუბერნატორს დასამტკიცებლად სიბჭოს დადგენილება შესახებ შუამდგომლობის აღძვრისა, რომ ვარშავის პოლიტეხნიკუმი დროებით თბილისში იქმნას გადმოტანილი.

◆ **დირექტორის დანიშვნა.** თბილისის სამოსწავლო ინსტიტუტის დირექტორად დანიშნეს ვიღაც მუჩკინსკი, რომელიც წინად თერგის ოლქში მსახურებდა.

◆ **დღეობა.** დღეს, 15 აგვისტოს, სიონის ტაძრის დღეობა არის. წირვას შეასრულებს საქართველოს ეგზარხოსი პიტირიმი, გორის ეპისკოპოსის ანტონისა და სამღვდელოების თანამსახურებით. იგალობებს ბ-ნ ჩარკვიანის მგალობელთა გუნდი. ხვალ, 16 აგვისტოს, ანჩისხატის დღეობაა. მწირველი ბრძანდება საქართველოს ეგზარხოსი პიტირიმი, ეპისკოპოს ანტონისა და სამღვდელოების თანადასწრებით. იგალობებს 2 გუნდი: ფილარმონიულ საზოგადოებისა და მიხ. კავსაძისა.

◆ **სურსათი.** 14 აგვისტოს მოტანილი იყო თბილისში: ფქვილი 11 ვაგ., სიმინდი 3 ვაგ., ფხვნილი შაქარი 1 ვაგ., ქვა მარილი 1 ვაგ., კარტოფილი 2 ვაგ., ხილი 1 ვაგ.. საზამთრო 12 ვაგ., ბზე 1 ვაგ., შეშა 2 ვაგ., ჩაი 188 ფუთი, ლიმონი 94 ფუთი, ბრინჯი 148 ფუთი, კარაქი 117 ფუთი.

## პ რ ე ს ა

„Homo novus“-ი ეხება რუსეთის დღევანდელ ტრაღიკულ მდგომარეობას გაზეთი „დენის“ ფურცლებზედ.

მაშინ როდესაც ყოველი უბრალო ჯარისკაცი წმიდათ იხდის თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე საკუთარის სიცოცხლის გაწირვით, მაშინ როდესაც საბრალო მოხელე, დაკარგული ვინტი სახელმწიფოს მექანიზმისა, თავის ადგილზედ დგას და ჭაპანს იწყვეტინებს დ დასვენების უფლება არა აქვს, თვით წარმომადგენლები ხალხისა, ვინც მთელი ხალხის სინიდისის მატარებელია და ვისაც ხალხის სახელის, თავმოყვარეობის და ინტერესის დაცვის მაღალი მოვალეობა უკისრია, გამალებით გარბიან პეტროგრადიდან ცოლშვილთან, სესიისა და საკუთარი მუშაობის შემოკლებაზედ ზრუნავენ; დაჰკარგეს ნამუსიც, და მოვალეობის შეგნების უნარიც,—ეს რუსის საზოგადოების უმწვერვალესი გახრწნაა, ამბობს ავტორი, რომელიც თავის წერილს ასე დაასკვნის:

„ვინმემ ხომ უნდა შესჭამოს რუსეთიც- თუ ეს არ იქნება გერმანელი, იგი ან ინგლისელი იქნება ან იაპონელი. რომ სხვისი ძალაობა არ იყოს ჩვენს ქვეყანაში, საჭიროა თვით ჩვენ ვიყოთ ძლიერი; ჩვენში ფიქრობენ, ხსნა იმაში კი არაა რომ ჩვენს გავხდეთ ძლიერი, არამედ იმაში რომ სხვა შეიქმნეს უძლური და უბადრუკი. გათანასწორება სურთ არა პირადი ამაღლების გზით, არამედ სხვისი ჩამოქვეითებით. თანასწორობა არა უფლების გზით, არამედ უუფლებობის გამეფებით, არა საკუთარე კულტურის გაძლიერებით, არამედ სხვის კულტურის ჩვენში შემოსვლის შეჩერებით, ჩვენი ველურობის დაცვითაო“.

## მამული გველუპება!

ძველ დროში, როდესაც ძალითა სცდილობდნენ ქართველთა მიწაწყლის ხელში ჩაგდებას, იმ დროს ქართველი ხალხიც იარაღით უდგებოდა წინ და მტრის ძალმომრეობას ძალითვე სთრგუნავდნენ. გადიარა გრიგალმა, ხელში იარაღ მჭერალი მტაცებელნი ჩაბარდნენ ისტორიას, მაგრამ მყუდროებაში წარმოიშვა უჩუმარი, შეპარებითი მტაცებელნი, რომელთა მეოხებით დიდი ზიანი მიეცა საქართველოს და მრავალი ადგილ-მამული ჩამოაცალეს ხელიდან. ამგვარმა მტაცებლობამ [illegible] ქართველობა დასტოვა უ[illegible] რომ ქართველ ხალხს სამყოფი მამული არა აქვს, ამას დამტკიცება არ სჭირია, მაგრამ როდესაც გვარწმუნებენ, ვითომც ქართველ ხალხს მოჭარბებული მამული ჰქონდეს, ეს კი არ დაიჯერება. იმერეთში, ქართლში და კახეთში (თელავის მაზრაში) ძველთაგანვე არა ყოფილა ხალხის სამყოფი მამული და დღეს საიდან იქნება? საქართველოში არის ერთად-ერთი კუთხე ქიზიყი განსაკუთრებით გლეხი ხალხით დასახლებული. აი ამ გლეხ-ხალხებმა აუწერელი მეცადინეობით და სისხლისღვრით შემოიფარგლეს სამყოფი მამული ალაზნის ველიდან მთელი შირაქი განჯის სათათრეთის სამზღვრამდის და მდინარე იორს გაღმა შემოყოლება დასავლეთით. ამგვარი მამულის მფლობელობა ქიზიყისა გადადიოდა შვილიდან შვილიშვილზე, თაობიდან თაობაზე მრავალი საუკუნეების განმავლობაში, მაგრამ მისი წართმევა ვერავინ მოახერხა. სულ სხვა სურათი გვეშლება დღეს: მამა-პაპის ნაანდერძევ მამულს დღეს სხვა ქარი არყევს. ჯერ ისევ 84 წლებში ქიზიყში გაჩნდა ერთგვარი კამისია, რომელიც ადგილობრივ მღვდლების წინამძღოლობით კარდაკარ დაიარებოდნენ მცხოვრებლებში და სწერდნენ: ყოველ ოჯახში რამდენი სული სცხოვრობდა, რამდენი იყო მუშახელი, დედაკაცები, ბავშვები და სხვ. სწერდნენ იმასაც, თუ რა ჰყვანდათ საქონელი, რამდენი დღის სახნავი ან საბალახე ეყოფოდათ. როდესაც ხალხი შეეკითხებოდნენ, რათა სწერთ სახნავი მიწის რაოდენობასაო, უპასუხებდნენ: ჩვენ გვინდა გავიგოთ რამდენი გეყოფათ მამული, რომ „ფოშტის ფული“ იმ კვალობაზედ გაიწერებოდეს და მეტი არავინ გადაიხადოთო. რადგანაც ამ აღწერას, მათის თქმით, „ფოშტის—ფულის“ შემცირება ედვა სარჩულად, ამიტომ მთელი ქიზიყის ხალხმა ერთი მეხუთედის საჭიროებაც არ მოითხოვა იმ მიწისა რასაც საჭიროებდნენ, რადგანაც სწამდათ, დანარჩენ მამულს ძველებურადვე მოვიხმართ, „ფოსტის—ფული“ კი შეგვიმცირდებაო. ვერც ის წარმოედგინათ თუ მათ მამაპაპეულ მამულს რაიმე საფრთხე მოელოდ, ან ვინმე შაეცილებოდა და წაართმევდა; ამიტომ თუ რომელიმე მცხოვრები გაბედავდა და თავისთვის სამყოფ მამულის საჭიროებას განაცხადებდა, ამაზედ მეზობლები აუტეხავდნენ ჩხუბს, რომ შენ ამდენი მიწის ფოშტის ფულს ვერ გადაიხდი და ჩვენი გადასახადი გახდებაო! ამაზედ გაჩნდა დაუსრულებელი ჩხუბი და ზოგჯერ თავპირის მტვრევაც.

მცირე ხნის შემდეგ ამ აღწერისა, ყოველ სოფელს მიუზომეს იმდენი მამული, რაც მათგან საჭიროდ იყო აღიარებული, ხოლო რაც მეტი აღმოჩნდა, ის ზედმეტათ, ქიზიყისათვის არა საჭიროდ აღიარეს და გადასცეს სახელმწიფო საავგენტოს სამფლობელოში, რომლის ბედი კარგად ვიცით, რომელზედაც დაასახლეს მრავალი შორიდან გადმოსახლებულნი და ქიზიყი კი დარჩა უმამულო, პირში ჩალა გამოვლებული.

თუმცა ქიზიყის მიდამო დღეს რასაც ჰფლობს, დიდი მამულის სურათის მაჩვენებელია, მაგრამ სინამდვილით ეს ასე არ არის; ქიზიყი სცხოვრობს გომბორის მთის ზურგზედ და კალთებში მჭიდროდ შემოხოხმიკებული, ხოლო სახნავ სათიბი მამულები კი ყველა სოფლებისა გარშემო მდებარე მამულები შეიცავს. მართალია, ქიზიყის მამულები ერთი მეორეზედაა გადაბმული და მისი ვაკე მდებარეობა დიდ ყურადღებას იპყრობს, მაგრამ სინამდვილით თითო კომლს, თითო მინდორში თითო თოკის ზომა სახნავი ძლივსა ხვდება, ეგრეთ წოდებულ წინამხარში, (ალაზნის ველზედ) შირაქში და უკანა მხარში. თოკი არის დღიურზედ ცოტა მეტი. საერთოდ კი კომლზედ მოდის სახნავი მიწა ოთხი დღიური, რომლის რიცხვშიაც შედის უსარგებლო შოროქნიანი მიწაც და საერთოდ კი მთლად სარწყავია, რომლის მოსავლიანობა დამოკიდებულია ბუნების განგებაზედ, ამიტომაა, რომ ხსენებული მამულების ჩამორთმევის შემდეგ ქიზიყმა კუპი ველარ გაიძლო, ყოველ წელიწადს მშიერი რჩება და ძველთაგან მდიდარი, მრავალი საქონლის პატრონი აჩრდილსა წარმოადგენს, და დღეის შემდეგაც თუ ამ გვარად გაგრძელდებოდა და სხვა ღონე არ იქმნებოდა ხმარებული, ქიზიყი დაღუპვას ვერ ასცილდებოდა; მაგრამ ქიზიყს მეორე მხრითაც მიადგათ უბედურბა.

ეს შემაძრწუნებელი ამბავი გახლავთ ამგვარი: ვილაც დიანოზოვს, [illegible] ფული მილიონზედ მეტი უკვე შეუტანია ხაზინაში. ამ დიანოზოვმა უნდა დაასახლოს ოსმალეთის სომხობა ვითომ ნავთის დასამუშავებელ მუშების სახელით. ამას, რომ ოსტატური საიდუმლოებით გამაგრებული საძირკველი უდგა, ეს ეჭვს გარეშეა. ამის გამო სილნალის მომრიგებელმა შუამავალმა დაიბარა მთელი ქიზიყის მამასახლისები და გააგებინა კარზედ მომდგარი უბედურება, რომ ილონონ რამე მის თავიდან ასაცილებლათ.

ქიზიყის მამასახლისების და არჩეული ხალხის ყრილობა გამართა ამავე საქმეზედ თავადმა მალხაზი ანდრონიკაშვილმა, რომელმაც ამავე კრებიდანვე დეპეშითა სთხოვა მეფის მოადგილეს ამ საქმის შეჩერება. მეორე კრება კიდევა ჰქონდა დანიშნული ამავე აგვისტოში შესამუშავებლად ზომებისა, მაგრამ მოგეხსენებათ ერთი კაცი ისეთს გავლენას ვერ მოახდენს ამისთანა საქმეზედ, თუ მას მთელმა ქართველმა განათლებულმა საზოგადოებამ არ მიაქცივა ყურადღება, და არ ჩაერივა საქმეში, რომლის დაგვიანება დიდ სამწუხაროდ გარდაიქცევა, ვინაიდან კარგად იციან ამ საქმეს უყურადღებოდ არ დასტოვებს ქართველობა, ამიტომ დააჩქარებენ საქმის სისრულეში მოყვანას.

ი. ოქროაშვილი.

# საგაზრო გუნტი კოლპინოში

7 აგვ. ქალაქ კოლპინოში, რომელიც პეტროგრადიდან 25 ვერსის მანძილზეა, დიდი არეულობა მოხდა სიძვირის გამო. მახლობელ ქარხნიდან ერთი მუშის ცოლი მოვიდა დუქანში თევზის საყიდლად. მედუქნემ არაჩვეულებრივი ფასი მოსთხოვა თევზში, ცალი 2 მან. ქალი ამის გამო გაანჩხლდა და პროტესტი გამოუცხადა. მედუქნემ კარში გამოაგდო. ქალმა ყვირილი ასტეხა. დიდძალმა ბრბომ თავი მოიყარა. აყალ-მაყალი გაძლიერდა. ჩამოერივნენ სხვებიც. ქალს ექომაგებოდნენ. ვაჭარს ყველა მუშტით ემუქრებოდა. ამ დროს ვილამაც ქვა გამოისროლა დუქნისკენ. ეს უკვე ნიშანი იყო საზოგადო არეულობისა. ბრბო დუქანს მიესია. წივილ-კივილი ქალებისა ყურს აყრუებდა. მათ არ იკმარეს ამ დუქნის აკლება. შემდეგ სხვებსაც მიესივნენ და ითხოვდნენ დუქნების დაკეტვას. ყველგან ქვა და ჯოხი ტრალებდა. მალე მთელი ბაზარი ორომ-ტრიალის ასპარეზად გარდაიქცა. გამოიწვიეს ადგილობრივ ყველა უბნის პოლიცია. როდის-როდის მოახერხეს ბრბოს გაბნევა. ეს ამბავი მალე ბთელს კოლპინოს მოედო. სალამოზე ბრბომ კვლავ იჩინა თავი, უფრო ფართე მასშტაბით. იკლებდნენ დუქნებს, ანადგურებდნენ ყოველისფერს. ქალები სამუშაოდან დაბრუნებულ ქმრებს აქეზებდნენ, ვახშამი სულ ამ თავგასულ ვაჭრების გამო ვერ დაგიმზადეთო. ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი უკლდაო, სწორედ ისე მოხდა. გაავთრებულ მუშებს ველარაფერი იოკებდა. დუქნების მტვრევა გაათკეცდა. პოლიციამ უკიდურეს ზომებს მიჰმართა, მაგრამ საქმეს მაინც არა ეშველა რა. შუალამისას ხულიგანები გამოჩნდნენ. გაიმართა ძარცვა-გლეჯა: ეს მათი ნამდვილი დღესასწაული იყო.

როდის-როდის ჩამოვარდა სიმშვიდე. წესიერება აღადგინეს. რამდენიმე კაცი დაიჭირეს. ჯერჯერობით გამორკვეულია, რომ 30 დუქანზე მეტია განადგურებული. (დ.).

# ჩემი ანდერძი

როდესაც თვალს დავხუჭავ
სამუდამო ძილითა,
სიკვდილს რომ გავახარებ
დაკრეჭილის კბილითა,
ვიცი დამიტირებენ
დაიწყებენ ჩივილსა,
ყველა მაშინ გამოსთქვამს
ჩემთვის გულის ტკივილსა.
მაგრამ რა მეშველება
კაცი ქვეყნის ჩრდილია
დრო დავიწყებას მიმცემს
მიწის გული გრილია!
ნეტამც კი იმ დროს გველი
კაცი არ მომეკაროს
და ცბიერი ცრემლები
ტყვილად არ გადმოღვაროს.
რად მინდა მისი ტირილი
და ცრემლი ვერაგული,
რა ნება აქვს მიგლოვოს
მე მისგანვე დაგული?...
დიდებული მგოსანი
როცა დავასაფლავეთ,
და მრავალი სიტყვებით
შევამკეთ, ავაყვავეთ,
იმ მწუხარების ჟამსა
ერთი რამ გამიკვირდა;
ერთი თავ ჩაღუნული
ნიანგის ცრემლებს ღვრიდა.
ცრემლს ღვრიდა თვალებ ხუჭვით
და კი არ ქვითინებდა,
მხოლოდ ნესტოებიდან
გველივით სისინებდა.
ხშირად და მალი-მალე
ქვეშ ქვეშ იყურებოდა,
ასეთი საქციელი
ლახვარივით მხვდებოდა.
თუ რომ გულში ტიროდა
და არა ღრიალებდა,
მხედავდვენ თუ არაო
თვალს რათ ატრიალებდა?
ღმერთო, შემინდე ცოდვილს
ჩემს გულს რა აძიებდა?
იქნებ მგოსნის წინაშე
ცოდვებს ინანიებდა!..
ასეა თუ ისეა
როს გავხდე მიწის მტვერი,
ახლო ნუ მომიდგება
კაცი ცრუ და ცბიერი.
თორემ ალმა მწოლარე
პირქვე გადავბრუნდები,
და ზედ დამელეწება
თვით სიკვდილის ხუნდები.
თუ სიკვდილმაც ამიშვა
და დამყვა გულს ნებას—
მაშინ ნახავთ თქვენ იმის
შერცხვენას გაწბილებას.

შიო მღვიმელი.

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**პეტროგრადი**, 13 აგვ. თავმჯდომარეობს როძიანკო. მორიგ საკითხებად შემდეგი საგნები წამოაყენეს: რა ზომები უნდა მივიღოთ, რომ გამოქცეულ მუშათა ოჯახებს დავეხმაროთ; რა ზომებია მიღებული სამხედრო ოპერაციებით დაზარალებულ ყარსისა და ბათუმის ოლქების დასახმარებლად, აგრეთვე როგორ უნდა მოვეპყრათ იმ პირთ, რომელნიც პოლონეთში იქნენ დატუსაღებული და ბოლოს იმპერიის სხვა და სხვა საპყრობილეებში გაანაწილეს, და ბოლოს, სათათბიროს 32 წევრმა შეკითხვა შემოიტანეს 5 სოც. დემოკრატის ბედის შესახებ, რომელნიც პეტროგრადის სამოსამართლო პალატის მიერ დასჯილნი იქნენ. მორიგად ჯერ არკვევენ შემოსავლის კვალობაზე გადასახლების საკითხს. მინისტრთა ლოჟაში ბრძანდება საფინანსო მინისტრი.

უარყვეს მემარჯვენეთა წინადადება, რომ მინიმუმი 600 მანეთამდე დაეყვანათ და მიიღეს კომისიის დასკვნა.

კომისიის რედაქციის სახითვე მიიღეს 6—9 მუხლებიც. მუხლი მეათე, რომელიც ეხება იმ მამულების შემოსავალს, რომელიც გადასახადის გარეშე რჩება, შეიცავს აგრეთვე მეფის ოჯახის წევრების ქონების შემოსავალსაც. გოდნევი შეეხო მეათე მუხლის ამ ნაწილს და აღნიშნა, კომისიის რედაქცია ამ ნაწილის შესახებ ბუნდოვანი არისო, მაშინ როდესაც მთავრობის რედაქციაში იგი მკაფიოდ არის გამოთქმული და ხელმწიფე იმპერატორმაც ამ ფორმულის მიხედვით გამოსთქვა თვისი დასტურიო. ორატორი მოითხოვს სახელმწიფო სათათბიროს ეს მუხლი მთავრობის რედაქციით. შემდეგ სახელ. სათათბირომ მიიღო ორმოცდაპირველ მუხლამდე ყველა მუხლი. შემდეგ სახელ. სათათბ. შეეხო სოციალ-დემოკრატების სასწრაფო შეკითხვის იმ წესების დარღვევის თაობაზე, რომლითაც სწარმოებს მუშათა დაზღვევის გამგე საბჭოსი და საკრებულოს წევრთა არჩევნები, და რომელ წესების დარღვევას მოჰყოლია მუშათა წარმომადგენელთა რიცხვის შემცირება უმაღლეს დამზღვევ დაწესებულებებში. წევრი ტულიაკოვი ამ განცხადებებზე პირველი ხელის მომწერი, მომხრეა ეს საკითხი სასწრაფოდ გაირჩეს, რადგანაც წესების დარღვევის გამო, უმაღლეს დამზღვევ დაწესებულებებში, სათანადო მთავრობის უყურადღებობის წყალობით, არ არის ისეთი შემადგენლობა, როგორიც უნდა იყოს კანონიერად. მთავარ დაწესებულებაში სახელდობრ დამზღვევ საბჭოში, მხოლოდ ექვსი წარმომადგენელი მუშების მხრივ, მაშინ როდესაც ნათლად არის აღნიშნული რომ საბჭოს მოქმედების უფლება არ აქვს, უკეთუ საბჭომ მუშათა 10 წარმომადგენელი არ იქნება ხოლო საგუბერნიო დამზღვევ საკრებულოში მთელი ერთი წელიწადია, რაც მუშებს თავიანთი წარმომადგენელი არა ყავთ... არც სატახტო ქალაქის საკრებულოში კანონიერი რიცხვი მუშათა წარმომადგენლებისა. შემდეგ ტულიაკოვი შეეხო საავადმყოფო კასებს და აღნიშნა რომ მუშათა მიერ არჩეული პირები ასობით იდევნებიან და ერთმევათ სახლობის უფლება; ასე გამოუგზავნიათ თურმე ერთი მუშა, იმიტომ რომ იგი პარტიის კაციაო, ხოლო პარტიის კაცი თურმე იმიტომაა, რომ იგი აურჩევიათ.

ტულიკოვი ათავებს თავის სიტყვას: ,,ერთ წუთით რომ დაგკარგოდეთ ის ღირსება რომელიც... (დარბაზში ხმაურობაა, ორატორს თავმჯდომარემ წაართვა სიტყვის უფლება.)

**ბუბლიკოვი** მომხრეა საკითხის სასწრაფოთ გარჩევისა და აცხადებს, მუშები თანახმა არიან ჯარს მიეშველონ, მაგრამ სამხედრო სამრეწველო კომიტეტში მონაწილეობის მიღებას იმიტომ უფრთხიან რომ ეშინიან იმ მიმავალ ამხანაგთა ბედისათვის. ორატორი აღნიშნავს, ამას ბოლო უნდა მოეღოს და ხელი აიღონ მუშათა დაპატიმრებაზე მხოლოდ იმიტომ რომ მუშათა ორგანიზაციაში ღებულობენ მონაწილეობას. ბუბლიკოვი ამოწმებს რომ რუსეთის მრეწველობის წარმომადგენლები არამც თუ კვერს არ უკრავენ ასეთ საქციელისთვის რუსის ადმინისტრაციას არამედ სულით და გულით სწუხან ადმინისტრაციის ასეთი ზნის გამო (ტაში). თვით შეკითხვა და მისი სასწრაფო განხილვა ერთხმად მიიღეს.

# ივერიის ეკლესიის შესახებ

## IV

### ათი წლის ისტორია

უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში, ივერიის ეკლესიამ დიდი რყევა განიცადა. საზოგადოებას და სამღვდელოებას ნება მიეცა საქვეყნოდ გამოეთქვა თვისი სულის კვეთება; თუ სიტყვიერად, თუ წერილობით ემცნო ყველასთვინ რა აკლდა, რა სჭიროდა, რით ეშველა თავისთვინ. როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის სამღვდელოებამ გამართა კრებები, შეადგინა პეტიციები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობაზე და გააგზავნა ზოგი სინოდში, ზოგი ბულიგინის კომისიაში. ასეთივე პეტიცია შეადგინა თბილისის და ქუთაისის თავად-აზნაურობამაც. საქართველოს სამღვდელოებამ თვის შორის აირჩია, სხვათა შორის, დელეგატები, რომელთაც კრება მოახდინეს თბილისში დეკ. დ. ღამბაშიძის თავმჯდომარეობით და შეადგინეს ცნობილი პროექტი „საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის“ შესახებ.

რუსეთის ეკლესიის პროგრესიულ სამღვდელოებამაც ხმა მისცა აქაურ სამღვდელოების და საზოგადოების მისწრაფებას. იქაც გამოითქვა სურვილი სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევისა, რისთვისაც სინოდთან შესდგა კრების წინასწარი საბჭო („предсоборное присутствiе“). ეს საბჭო სხვა და სხვა სექციებად დაიყო. მეორე განყოფილებას მიენდო კავკასიის ეკლესიის საქმეების მოწესრიგება. აი აქ ეპისკოპოზები ლეონიდი, კირიონი, სტეფანე, დეკ. ვოსტორგოვი, ბუტკევიჩი, პროფ. ბერდნიკოვი, ცაგარელი, ნ. მარი, ხახანაშვილი და სხვ. ვილნოს მთავარეპისკოპოზის ნიკანდრის თავმჯდომარეობით ირკვევდენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის საკითხს. რუსთა წევრები, უფრო კი მ. ვოსტორგოვი, შორს იჭერდენ თავს. მათ ავტოკეფალობა ძილს უშფოთებდა, გულს უღრღნიდა და ერთის წუთითაც ვერ შერიგებოდენ იმ აზრს, რომ შეუძლებელია რამე ხიფათი მოუყვეს ამ საკითხის განხორციელებას ან ეკლესიისათვის, ან სახელმწიფოსთვის. იგინი ავტოკეფალობას ავტონომიას უკავშირებდნენ და არავითარ კაზუისტიურ და იეზუიტურ ხრიკებს არ ზოგავდენ საქმის ჩასაფუჩეჩებლად და გასაქარწყლებლად, თუმცა ჩვენები უმტკიცებდენ, რომ ავტოკეფალობის მოთხოვნა ბუნებრივი მოთხოვნილებაა ქართველებისა. დიდათ პატივცემული კირიონ ეპისკოპოზი ავტოკეფალობის დადებითი მხარეს ასაბუთებდა ისტორიულის, ნაციონალის, იურიდიულის თვალსაზრისით, რისთვისაც ოთხი შესანიშნავი წერილობითი მოხსენება წარუდგინა ამავე საბჭოს, მაგრამ შემდეგ, როგორც მოსალოდნელიც იყო, მოჰყვა ის, რომ ეს საკითხი გადაეცა კიდევ სხვა კომისიას, კირიონი ადგილიდან დაითხოვეს,—მაშინ სოხუმში ბძანდებოდა,—და დაავადმყოფებულ-დასევდიანებული საავადმყოფოდან გამოიყვანეს და წაიყვანეს სინაქსარის უდაბნოში, სადაც რამდენიმე წელს იმყოფებოდა უპენსიოდ; აქედან ჯერ სანეთს გადმოიყვანეს და მხოლოდ ათი წლის ტყვეობის შემდეგ დაუბრუნეს კათედრა რუსეთში. მაშინდელ ერთ-ერთს გაზეთში სათათბიროს უკიდურესი მემარჯვენე ბალაშოვი ამბობდა: მე თითონ შემიძლია დავამოწმო ვოსტორგოვის მიერ კირიონზე ნათქვამი სიტყვებიო: „კირიონს გავსრესო და საქართველოსაც სისხლით მოვრწყავო“. კირიონს უნდოდა თავის მართლება, მაგრამ ჯერ იქნამდი არავინ გაუშვა და მერმე გამოძიების დროს ვერ მიიკარეს ვოსტორგოვი, უწყება არ ჩაიბარა. ლეონიდე ეპისკოპოზიც თავის კათედრას დააშორეს და მეორეზე გადაიყვანეს.

ავტოკეფალობის საკითხი დასრულდა ჩვენში იმით, რომ ხელმწიფე-იმპერატორმა ინება ამ საკითხის სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებისათვის გადაცემა განსახილველად; 1906 წელს, აგვისტოს თვეში გამოვიდა სინოდის ბრძანება, რომელიც სიტყვა-სიტყვა მოიყვანა ბ-ნმა **ახელმა**. ეს ბრძანება ეხება ქართველ ეპისკოპოზების უფლებათა გაფართოვებას, კონსისტრიების დაარსებას, ქართულ ენის სკოლებში შამოღებას და სხ. ქართველ სამღვდელოებას ამავე დროს მისცეს ვითომდა ერთნაირი ავტოკეფალობა: არჩევითი წესი საეკლესიო-მსახურთა განწესების დროს. მაგრამ ეს არჩევნის პრინციპი ისეთს ნიადაგზე იყო აგებული და ისეთი კუდმოკვეცილი იყო, რომ სარგებლობის მაგიერად საზარალო შეიქნა, რადგან მღვდელ-დიაკვნის განწესება სოფლის უვიც, ანგარების მოყვარე მამასახლისებს მიანდვეს და იმათაც ისეთი კანდიდატები გაჰყავდათ, ვინც მეტს მისცემდა, რის გამო ჩვენში მღვდლობა ყოველმა შეუგნებელმა და ხორც-მეტმა იგდო ხელში.

ავტოკეფალობა რა საშიშრობას უნდა წარმოადგენდეს? სომხებს თუ დამოუკიდებელი ეკლესია აქვთ, ნეტავი ვის რა წაუხდა ამითი?

დიახ, ის არჩევნები რომ არ მოესპოთ ჩვენში, თუმცა პრინციპიალად ეს წესი სასურველია და ყველგან მას თხოულობდენ და ახლაც თხოულობენ, კიდევ უარეს დღეს განიცდიდა ეკლესია.

საქართველოს ეკლესიაზე ამ ათ წელიწადში მხოლოდ ერთხელ, 7 თებერვალს 1912 წელს, დაილაპარაკა დეპუტატმა ე. გეგეჭკორმა. აი რას ამბობს იგი სხვათა შორის: „ჩვენ ვერ გავჩუმდებით, როდესაც ერთი კალმის მოსმით გენერალ ტორმასოვის წინადადებით ფეხქვეშ გათელეს ღვთისა და ადამიანის კანონები, რომელნიც იცავენ ღმობას და ქირდვას ადამიანის სინიდისისას და ქართველი ერის ისტორიულ-ნაციონალ ავლადიდებისას; ივერიის ეკლესიამ 100 წლის იქით დაჰკარგა დამოუკიდებლობა და მას შემდეგ განიცდის უსასტიკეს დაცინვას და ძალმომრეობას... საქართველოს ეკლესიას მისი მტრებიც კი აღიარებენ ერთად-ერთს უძველეს ქრისტიანულ ორგანიზაციად, რომელიც კულტურულად ისე მაღლა იდგა, რომ 5—6 საუკუნის განმავლობაში, მონასტრებით მოიფინა წმიდა ქვეყანა, სინა, შავი მთა ანტიოქიის ახლო, ათონი. ვერავინ უარჰყოფს, რომ მას საკუთარი ენა აქვს, საკუთარი გარდმოცემანი, მოწამენი, ერთი სიტყვით, შემკულია ყველა იმით, რაც იგულისხმება მართლ-მადიდებელი ეკლესიის სახელით... საქართველოს ასი წლის განმავლობაში გმობისა და ძალდატანების მეტი არა უნახავს რა, აკრძალულია აქნამდის ქართულ ტაძრებში ქართულ ენაზე ღვთის-მსახურების შესრულება, ართმევენ ტაძრებს, საუნჯეს, სასაფლაოს“. დურნოვო სწერს: „პირველმა ექსარხოსმა თეოფილაქტემ გამოთხოვა ნება-რთვა უწ. სინოდს ქართლ-კახეთ-იმერეთ-გურია-სამეგრელოში რამდენიმე ეპარქიის გაუქმებისათვის, გაიძარცვა ძვირფასი სალარო სიონის ტაძრისა. ხატებს შემოძარცვეს მარგალიტები, ბრილიანტები. დაიკარგა მხხვილი ოქროს ჭურჭელი, სასწაულთ-მოქმედის ღვთის-მშობლის ხატის ჯვრები... რუსეთის იერარქიამ მსხვერპლად შესწირა, დალუპა ქართველები, ასე რომ ამ მხრივ მათ წინ გაუსწრეს სპარსელებს და თათრებს, რომელნიც ენას არ გლეჯდენ ქართველებს. მრავალ საუკუნოების განმავლობაში საქართველომ ნახა ჰირი ლენგ-თემურის, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევით, მაგრამ მაინც მოასწრო დაცვა იმ სიძველისა, რომელიც გაიტაცეს რუსის მოხელეებმა... ყველა გაზეთებში მოთხრობილი იყო ერთი ამბავი სოფელ დ., თბილისის გუბერნიის, გორის მაზრიდან: ახლად იქ რუსის ექსარხოსისაგან განწესებულმა რუსის მღვდელმა გამოუცხადა თარჯიმნების პირით ქართველებს, რომ ის ათქმევინებს მათ აღსარებას რუსულ ენაზე და ქართველებს, რუსული ენის არ მცოდნეთ, შეუძლიათ ცოდვების მონანება ქართულად, რადგან ღმერთმა ყველა ენა იცისო. განა ეს სარწმუნოების პროფანაცია არაა... ეს დაცინვაა ყოველივე ღვთაებრივი, კაცობრიული და ნაციონალი უფლებებისა... აწი, ალბათ, მღვდელ-მოქმედება და მიცვალებულის დასაფლავება აგრეთვე თარჯიმნების პირით შესრულდება. („შინაური საქმეები“, № 14, 1912 წ.).

განსვენებულის ექსარხოსის ინოკენტის დროს ჩვენი ეკლესია დიდს სისასტიკეს განიცდიდა. სხვას რომ თავი დავანებოთ, დავით ეპისკოპოსი, რომელმაც ხმა აი მაღლა ზოგიერთ მის უკანონო მოქმედებაზე, გააძევა შიდა რუსეთს, სადაც დღესაც იმყოფება. მისი ნაქონი ალავერდის კათედრა გააუქმა, მისი ხარჯი ახლად მისგანვე გახსნილ ერევნის საეპისკოპოზო კათედრის შესანახად გადაიტანა. დავითს უკანასკნელად საქართველოში წირვის შესრულების და თანამემამულეებთან გამოთხოვების ნებაც არ მისცა და მოსწყვიტა სამშობლოს. ერევნის ეპისკოპოზი, თუმცა მესამე ქორ-ეპისკოპოზია, მაგრამ პირველობა მისცეს და პირველი, გორის ეპისკოპოზი, უკანასკნელია. წინად ექსარხოსის მაგიერობას, იმის იქ არ ყოფნის დროს, გორის ეპისკოპოზი ასრულებდა, ახლა კი ერევნისაა მის მაგიერი არქიმანდრიტმა ამბროსი ხელაიამ გაასწრო რუსეთისაკენ დავითს. ისიც კაი ხანია იქაა.

საქართველოს მართვა გამგეობის კურსი შეიცვალა მაღალ ყ-დ უსამღვდელოესის ექსარხოსის პიტირიმინ დანიშვნის შემდეგ ამ მხარეში. მან უფრო არა პოლიტიკოსის, არამედ ნამდვილ მწყემსთმთავრული თვალით შეხედა საქმეს და მოინდომა წამხდარი საქმის გამობრუნება, მაგალითად გაუქმებული ალავერდის აღდგენა, ქუთაისის სასულიერო სემინარიის კვლავ გახსნა, თუმცა ჯერ ხანობით ამ საკითხებს კაი დარი არ დადგომია. როგორც ირკვევა ამ საქმეებს მოსაგვარებლად ჯერ დრო არ დამდგარა. თურმე, ნუ იტყვით, ყოფილი ობერ-პროკურორი ბ. კ. საბლერი სინოდში ამ საკითხის სასუველად დაგვირგვინებას წინაალუდგა, რადგან ექსარხოსი, მეფისაგან ამ თანამდებობაზე დამტკიცებული და მისი მოადგილესაგან მოწონებული, ამ ობერ-პროკურორს დაუკითხავად

სინოდის პირველი წევრი, მიტროპოლიტი პეტროგრადისა ვლადიმერისა, მხარს უჭერდა საბლერს, თუმცა ჩვენებური საქმეების ვითარება იმან ზედმიწევნით იცოდა, როგორც ნაეგსარხოსელმა. ამ ჟამად ექსარხოსმა პიტირიმმა ხელმეორედ აღძრა შუამდგომლობა ზემოხსენებულ ალავერდის კათედრის აღდგენის შესახებ.

ახალი ობერ-პროკურორი, ბ-ნი სამარინი, უფრო გონიერების, მიუდგომელის თვალით შეხედავს ჩვენი ეკლესიის გაჭირვებას და შეძლებისადაგვარად დააკმაყოფილებს, როგორც წარმოსთქვა მან ექსარხოსის მისალოც დეპეშის საპასუხოდ.

სანამდი ავტოკეფალობის საკითხი დაისმოდეს და გაირჩევოდეს საეკლესიო კრებაზე, რომელსაც ყოველი შეგნებული ეკლესიის წევრი სულით და გულით მოელის ეს მეათე წელია და რომლის მახლობელ დროში დანიშვნის მომხრეა ახალი ობერ-პროკურორი, ძლიერ კარგი იქნებოდა თუ ჩვენი ეგზარხოსი ზოგიერთ მომწიფებულ საკითხებს, რომელთა გადასაჭრელად საჭირო არაა დიდი კრების სანქცია, დროით განახორციელებდეს, როგორიც არის მაგალითად აგვისტოს თვის 1906 წლის სინოდის ბრძანება, ჩვენი დევნილ ეპისკოპოზების თავთავიანთ ადგილებზე დაბრუნება და საზოგადოდ პოლიტიკის ქსელიდან ეკლესიის განთავისუფლება. ამას ჩვენც ხელი უნდა შევუწყოთ. რასაკვირველია, სასურველი იქნებოდა, ამ საკითხებზე ჩვენი დეპუტატებიც რომ ილაპარაკებდნენ სათათბიროში.

ქ. გძელი.

# დეპეშა

**პეტროგრადი**, 12 აგვისტო. ებრაელთა აყრის შესახებ შეტანილს შეკითხვაზედ სახ. სათათბიროს კომისიამ სცნო, რომ აყრის განკარგულების წინააღმდეგ არავითარი პროტესტის განცხადება არ შეიძლება, რადგან ეს განკარგულება უმაღლეს მთავრობისაგან არის მომხდარი. შეკითხვა შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ იმ გვარ უწესოებას, როგორითაც ეს განკარგულება სისრულეში მოჰყავთო. მომხსენებლად ამორჩეულია მასლენიკოვი.

**პარიზი**, 12 აგვისტო. სერბია დასთანხმდა შეთანხმებულ სახელმწიფოებს დაუთმობს ბულგარეთს მაკედონია; ამ გვარად ყველაზედ ძნელი დაბრკოლება, რომელიც კი შესაძლებელი იყო წინ გადაეღობებოდა შეთანხმებულებს, უკვე გადალახულია. ეხლა საქმის გაგრძელება და სასურველად დამთავრება დამოკიდებულია ბულგარეთის პასუხზედ. ჰფიქრობენ, „სკუპშჩინის" გადაწყვეტილება კეთილგანწყობილებით იქნება მიღებული ათინაში და ბუქარესტში.

**ვაშინგტონი**, 11 აგვისტო. გრაფი ბერნსტორფი სთხოვს შეერთებულ შტატებს მთავრობას, შეჩერებული იქნას გადაწყვეტილება გემ „არაბიკ"-ის დაღუპის შესახებ, სანამ შემოწმებული იქნება ყველა ფაქტები.

**ნიში**, 11 აგვისტო. „სკუპშჩინა"-მ მიიღო შემდეგი მორიგ საკითხებზედ გადასასვლელი ფორმულა: მოისმინა რა პალატამ მთავრობის დეკლარაცია და განმარტებანი, პატივი სცა ომში დახოცილ გმირებს და მოიწონა მთავრობის პოლიტიკა, რომელსაც, ყოველივე აუცილებელ მსხვერპლის მიუხედავად, მტკიცედ გადაწყვეტილი აქვს იბრძოლოს თავის მოკავშირეებთან ერთად სერბების, ხორვატების და სლოვენების ეროვნებათა განთავისუფლებლად და გასაერთიანებლად.

თუმცა შემდეგი სხდომა 21 სექტემბრისათვის არის დანიშნული, მაგრამ „სკუპშინას" შეუძლიან ადრეც შეიყაროს.

**პეტროგრადი**, 13 აგვისტო. უმაღლესი ბრძანების თანახმად გამოცხადებულია პირველხარისხოვანთა მოწვევა 1916—1898 წ. იწვევენ ყველა გუბერნიებიდან, გარდა კავკასიისა და ვარშავისა, კალიშისა, კელეცკისა, ლომჟისა, პლოცკისა, რადომისა, სუვალკისა და ამურისა, კამჩატკისა, პრიმორსკისა და სახალინის ოლქებისა. პირველ ხარისხის ჯარისკაცები, რომელთაც ზეგარა არ მოუხდიათ, კავკასიაში ბრძანების თანახმად, მოუწოდებენ შემდეგ. ვადა დანიშნულია 15 აგვისტო.

**თეირანი**, 13 აგვისტო. ლურისტანში ადგილობრივი ყაჩაღთა ბრბო თავს ესხმის ჟანდარმერიას. აგიტაციას ეწევიან მტრები, ბურუდშირდში აუწერელი ზარალი მოუვიდათ ჟანდარელებს, დაჰკარგეს ორი ზარბაზანი, სამხედრო მასალა, სურსათი და მრავალი სხვა. შვედელ ინსტრუქტორმა ძლივს უშველა თავს. აგიტაციას ჩვენი მოწინააღმდეგენი ეწეოდნენ. სპარსელები სასტიკად ისჯებიან იმის გამო, რომ გერმანელებს და ოსმალებს შარშან პურ-მარილით შეხვდნენ.

**ლონდონი**, 12 აგვისტო. ოფიციალი ცნობა დარდანელთან ბრძოლებისა. 24 ივლისიდან მოყოლებული გალიპოლის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში მოქმედებდნენ ავსტრალიელთა და ახალზელანდიელთა ჯარები. ესენი ძლიერის იერიშით მიდიოდნენ კრიტიაზე. გაცხარებული საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა და დიდათაც დაზიანდა ორივე მოპირდაპირეთა ჯარი. ჩვენმა ჯარმა მიზანს მაინც ვერ მიაღწია. სარიბაირის მთაზედ და ჩუნიკის ქედზედ მიტანილი იერიშები დამარცხებით დამთავრდა— ოსმალებმა იძულებული ჰყვეს ავსტრალია-ზელანდიელი ჯარები მიეტოვებინათ მაღლობები და დაეჭირათ ვაკის პოზიციები.

უკეთესად მიმდინარეობდა საქმე ახალ დაჭერილ ადგილში სუვლეს ყურესთან. აქ ჯარმა $2^1/_2$ მილის სიგანის და 12 მილის სიგრძის ზღვის ნაპირი დაიჭირა. ახალ ჯარების მოსვლის შემდეგ მთელს ფრონტზედ დაიწყო საერთო იერიშები და ბრძოლის პირის მარცხენა მხარეზედ ავსტრია-ზელანდიის ჯარებმა $^3/_4$ მილით მოახერხეს წინ წაწევა. ოსმალთა ზარალი უფრო მეტია ვიდრე ჩვენი ჯარისა. დაჭერილს ადგილებს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ჰნიშნავს, რომ ჩვენ უმთავრეს მიზანს მივახწიეთ და შემდეგში აღარ დაგვჭირდება სერიოზულ ზომების მიღება სავსებით გამარჯვების მოსაპოვებლად.

**პარიზი**, 13 აგვისტო. ფრანგ მფრინავებმა ყუმბარები დაუშინა ოფენბურგს, რომელიც რკინის გზის მნიშვნელოვან კვანძს წარმოადგენს ბადენის საჰერცოგოში. 12 აგვისტოს ხმა ჰაერიპლანისაგან შემდგარი ესკადრა თავს დაეცა დოლინგში რკინის სადნობ ქურებს და სან-ლუის ჩრდილოეთით გაშენებულს გრანატების და სამხედრო ჯავშნების ქარხანებს. ჰაეროპლანებმა 150 მეტი ყუმბარა ჩამოჰყარეს, ამათში 30 დიდი ზომისა.

### ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა საავარაკო სახლის აშენების გამო.

გაზ. „საქართველოს" 63 №-ში მოთავსებული იყო პატივცემული მიხეილ მურვანიშვილის ფრიად ღირს შესანიშნავი წერილი: „**ქართველ საზოგადოებისადმი**", რომელშიდაც გვიხატავს ჩვენი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა უმწეო მდგომარეობას და გვირჩევს პატივცემული მიხეილი, რომ საერთო ძალღონით ავაშენოთ წაღვერის მშვენიერ მიდამოებში (ბორჯომის ზევით) ექვს ოთახიანი სახლი (ჯერ-ჯერობით) მათთვის დასასვენებლად და მოქანცული და დაკარგული ჯან-ღონის ხელახლა შესავსებლად და აღსადგენადაო.

დიდად სასიხარულოა ეს ამბავი და ისიც რომ ამ კეთილი საქმის მეთაურობა და საძირკვლის ჩაყრა უკისრია ისეთს კაცს როგორიც არის ბატ. მიხეილ მურვანიშვილი, რომელსაც გული და სული სავსე აქვს თავისი მშობელი ქვეყნისა და ხალხის სიყვარულით და მუდამ მზად არის შეძლებისა და გვარად ყოველ გვარი სამსახური გაუწიოს.

ბატ. მიხეილი, როგორც წაღვერის მიდამოთა ტყის მცველი-უფროსი და იქაურობის გამგე;—მრწამს რომ საუკეთესო ადგილს გამოსძებნის ზემოხსენებულ მიზნისათვის, როგორც ჰაერის სიკეთით აგრეთვე სივრცით და სიმშვენიერით შემკულს.

სიხარულით ვეგებები ამ ამბავს და ჩემის მხრით ვაახლებ პატივცემულ „საქართველოს" რედაქციას ერთი თუმანს **ძევლად** ამ მიზნისათვის.*) მართალია ეს წვლილი ძალიან მცირე არის მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყველა შეგნებული ქართველი სიამოვნებით გამოიღებს ამისათვის თავის ხვედრი წვლილს და მაშინ ეს ძვირფასი აზრიც განხორციელდება.

პატივისცემით **სოსიკო მერკვილაძე**.

*) რედაქციამ მიიღო 10 მანეთი.

### წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გიგზავნით ამასთან **სამას ოც-და-სამ მანეთს (323 მანეთი)** და გთხოვთ ეს ფული გადასცეთ ვაჟა-ფშაველას დამკრძალავ გამგე კომიტეტს, რომელსაც სთხოვს ბათომის ქართველი საზოგადოება, რომ ამ ფულის ერთი მესამედი მოხმარებულ იქმნას დამკრძალავი ხარჯის დასაფარავად, ხოლო ორი მესამედი მიემატოს პოეტის ფონდს. პატივცემულ გამგე კომიტეტს ვუზიარებ აგრეთვე შემომწირველთაგან გამოთქმულ სურვილს, რომ ფულის განაწილების დროს არ იქმნეს დავიწყებული პოეტის ოჯახობა, რომელიც,—როგორც გაზეთებიდან ვიცით,—განიცდის ნივთიერ ვიწროობას. ამასთანავე გაახლებთ შემომწირველთა სიას.

გრ. ელიავა—10 მ., გრ. აბაკელია 5 მან., ს. მდივანი 5 მ., რ. ნიჟარაძე 5 მ., კ. გოგოლაძე 2 მ., გრ. სოგოროვი 2 მ., კ. ჩიხლაძე 3 მ., ე. ბერძენიშვილი 4 მ., მ. ჯიბლაძე 1 მ., ვ. მხეიძე 10 მ., თ-დი ი. ანდრონიკაშვილი 15 მ., პ. გამყრელიძე 2 მ., ი. მესხი 3 მ., ნ. ჩხენკელი 2 მ,, ს. ჭანტურია 5 მ., ნ. საბაევი 10 მ., გ. დ. ელიავა 3 მ., გ. ანჯაფარიძე 2 მ., ტ. ჩხეიძე 3 მ., ბ. საბაევი 3 მ., გ. თავართქილაძე 3 მ., ი. მელია 5 მ., ე. ბაბილუა 5 მ., ი. კახიანი 5 მ., ს. გურგენიძე 3 მ., ი. გიორგაძე 1 მ., დ. შვიდობაძე 3 მ., ზ. ბეზტავაშვილი 5 მ., ს. წულაია 2 მ., ვ. ჭედია 3 მ., ა. მებუკე 2 მ., პ. კალოიანი 1 მ., ა. თავდიშვილი 2 მან., ა. ჯიშკარიანი 2 მ., ბ. გოგიტიძე 1 მ., ს. ოთხმეზური 1 მ., გ. ოთხმეზური 1 მ., ნ. კორძაია 1 მ., ვ. ჭელიძე 2 მ., გ. ანთაძე 3 მ., ი. ლულაბერიძე 5 მ., ნ. ბაროვალ-სხირტლაძე 10 მ., ბ. ჟურული 3 მან., ა. შატილოვი 5 მ., ა. მიქელაძე 1 მან., მღვდელი ტრ. ჯოხთაბერიძე 2 მ., ე. ჩხატარაიშვილი 1 მ., ი. მგალობლიშვილი 1 მ., ი. მგელაძე 1 მ., მ. ნაჭყეპია 1 მ., თ-დი რ. ჯავახიშვილი 5 მან., ს. ჯანელიძე 2 მ., ა. კოზმავა 2 მ., ლ. რუხაძე 2 მ., ლ. ხუნგია 3 მ., ბ. მგელაძე 2 მ., გ. გრიგორიანცი 3 მ., ს. ბოჭორიშვილი 2 მ., ე. და ლ. კაკაბაძეები 2 მ., ა. ვაჩნაძე 1 მ., ა. იმნაძე 2 მ., ი. სიორიძე 1 მ., ნ. ვუპრაძე 1 მ., ე. ხორომანსკი 3 მ., ი. საბახტარიშვილი 3 მ., №№ 1 მან., პ. გეგენავა 2 მ., დ. ვადაჭკორია 2 მ., ს. ნაცვალიშვილი 1 მ., ვ. მესხი 1 მ., ზ. ჩხენკელი 2 მ., ნ. ქორჩილავა 2 მ., მ. გაგუა 2 მ., გერასიმე ხუროძე 1 მ., თ. თოფურია 3 მ., ნ. ჯალაღანია 1 მ., რ. შარაშიძე 1 მ., ვ. მგალობლიშვილი 2 მ., დ. ქიქოძე 2 მ., ნ. აღნიაშვილი 1 მ., ს. ურუშაძე 2 მ., ნ. ანჯაფარიძე 1 მ., ი. ღლონტი 1 მ., დ. გუგუშვილი 2 მ., დ. გვარჯალაძე 1 მ., თ. ანანიაშვილი 2 მ., ს. წერეთელი 5 მ., ა. ჩიხლაძე 2 მ., მ. ჩხატარაიშვილი 2 მ., №№ 3 მ., კ. თავბერიძე 2 მ., შ. ჭყონია 10 მ., №№ 2 მ., პ. გიგინეიშვილი 5 მ., ქემოვლიძე 3 მ., ი. შოთაძე 2 მ., ვ. ჯაში 2 მან., ე. ბოლქვაძე 1 მან., ი. ბოლქვაძე 1 მ., ი. მ. ორბელიანი 2 მ., ა. ქარცივაძე 3 მ., №№ 2 მ., ყ. ბოლქვაძე 50 კ., ი. ლოთქიფანიძე 2 მან., ვ. ვუჭაიძე 2 მან., ს. ესავი 1 მან., ს. სვანიძე 1. მან., №№ 1 მან., №№ 1 მან., ვ. ადამია 1 მ., ა. ქუთათელაძე 2 მ., ს. ყუფარაძე 2 მ., გ. რამიშვილი 1 მ., ი. მგელაძე 2 მ., ე. და ა. კაკაბაძეები 2 მ., ზ. კალანდარიშვილი 1 მან., რ. გოფოძე 1 მ., მ. ანთაძე 1 მ., მ. და ვ. იაშვილი 1 მ., ი. წილოსანი 1 მ., გრ. გეგენავა 1 მან., ო. სირბილაძე 1 მ., დ. ჯოჯუა 1 მან., ი. კახიანი 2 მ., თ-დი მ, ნაკაშიძე 5 მან.—სულ 341 მანეთი და 50 კ აქედან დაიხარჯა პანაშვიდზე, განცხადებეზზე, დეპეშებზე და ფულის გაგზავნაზე 18 მან. და 50 კაპ.—დანარჩენი 323 მ. ამასთან იგზავნება.*)

წ.-კ. საზოგადოების ბათომის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე ექიმი **გრ. ელიავა**.

P, S. ბოდიშს ვიხდი ზოგიერთ შემომწირველებთან, რომელთა გვარები ვერ გავარჩიე და აღვნიშნე №№-თ.

გრ. ე.

*) ფული გადაეცა წერა-კითხვის გამ. საზ—ის მთავარ გამგეობას. რედ.

# ჩვენი ცხოვრება

**ს. ზემო-ხანდაკი**. სოფ. ზემო-ხანდაკი მდებარეობს სოფ. ახალქალაქის მახლობლად. მთელი სოფ. დამალულია ვენახებში. სოფელში რომ შედიხართ საამური სურათი გეშლებათ თვალწინ: შიგ შუა სოფელში მიდის დიდი და რიყით დაყრილი გზა, გზის პირას ჩამწკრივებული სახლები. ყველა სახლის წინ პატარ-პატარა ბაღჩებია, შემდეგ იწყება ვენახები და მერე სახნავი მიწები. მაგრამ სოფელს აქვს ერთი ნაკლი: ეს გახლავთ სასმელი წყლის უქონლობა. აქაურები სასმელად ხმარობენ მდინარე წყალს, ყარაღაჯის რუს, რომელიც გამომდინარეობს მდინარე თეძამიდან. რა წამს პატარა წვიმა მოვა, ეს რუ იმღვრევა და ლაფივით მოდის ხოლმე. ეს კიდევ არაფერი: მინამ სოფლამდის მოვა ეს წყალი, აქაური მწყემსები ზაფხულობით ჩაჰყრიან ხოლმე ნახირს, ღორ-ხბოს, ბატებს და თითონაც შიგ ბანაობენ. ხერე კიდევ რეცხენ და ჰყრიან ათასნაირ სიბინძურეს. აი, ასეთი შეზავებული წყალი ჩამოდის შემდეგ სოფელში და მასვე ჰხმარობენ სასმელად. აი, ამიტომაა, რომ სოფელში ათასგვარი ავადმყოფობა მძვინვარებს. და აკი კიდეც ახალქალაქის საავადმყოფო სავსეა ხოლმე ხანდაკელ ავადმყოფებით. იქვე სოფლის ზემოთ ორი ვერსის სიშორეზედ იმყოფება ერთი მშვენიერი წყარო „ჭვიროს-წყარო" რომლის ბადალი წყალი ამ ახლომახლო სოფლებში არ მოიპოვება. მაგრამ აქაურ ხალხს ვერ უთავია და ვერ ჩამოუყვანია ეს ძვირფასი წყარო. თუმცა მთელი სოფელი მოწადინებულია ეს საქმე მოაგვაროს, მაგრამ მოთავე და სანდო კაცი ვერავინ გამოჩნდა, რომ ეს საქმე თავს იდვას და სოფელი ამ გაჭირვებიდან გამოიყვანოს. სოფელი ველარ ჰნდობია აქაურ „პოვერნიებს". ერთით კი არც გასამტყუნარნი არიან: ვისაც მიენდნენ, არავინ გაიტანა, ყველამ თავის ჯიბეს უმარჯვა. მაგალითად, დიდი ხანი არ არის აქაურმა ამორჩეულმა კაცებმა შეჰკრიბეს ბოგირის გასაკეთებელი ფული. მაგრამ ამ ფულით აქაური დუქნები გაამხიარულეს და ბოგირები კი ისევ გასაკეთებელი დარჩა. აქაური აზნაურიშვილებიც არ უნდათ. ჩვენს საქმეში არ გავრევთო. ის კი არ იციან, რომ აქაურ აზნაურიშვილებს უფრო გული შესტკივათ და სოფლის ჭირ-ვარამს გაიზიარებენ, ვიდრე იქაური „პოვერნიები". მაგრამ ან კი რა საჭირო არის სოფლის შეწუხება ფულით. ერთი სთქვან იქაურმა მეთაურებმა, ჭალის ფული, რომელიც წელიწადში რვა თუმნამდის შემოდის და ჰხმარობენ ორმოც წელიწადზე მეტია, რა უყვეს ეს ამოდენი ფული, რაზედ დახარჯეს, რას მოახმარეს? დროა ახლა სოფლისთვის იზრუნონ. ეყოფათ ამდენი ძარცვა-გლეჯა და ქეიფი სასოფლო ფულით. სოფელში არ მოეპოვებათ სამკითხველო და არც გაზეთი, რომ სოფელმა გაიგოს რამე ნამეტნავათ ამ უბედურობის დროს. დროა აქაურმა მამასახლისმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს. ეხლა მაინც იზრუნოს სოფლისათვის. გაუწიოს ანგარიში სოფლის მოხელეებს, გაიგოს რასა ჰხარჯავენ სოფლის სასარგებლოდ.

ამ წელს პურის მოსავალი ამ სოფლად ძალიან ნაკლებია. ყურძენი ხომ სულ არ მოიპოვება.

აქ ძალიან გამეფებულია ექიმბაშობა და მკითხაობა და ისედაც გალატაკებული გლეხი კიდევ მეტ გაჭირვებაში ვარდება...

**ხანდაკელი**.

# ჩვენი ფოსტა

**ი. ქავთარაძეს**. გთხოვთ თქვენი მისამართი შეგვატყობინოთ.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)**

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თბილისიდან | 8 ს. | 13 წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 8 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 8 „ | 58 „ | „ |
| ვაზიანიდან | 10 „ | 06 „ | „ |
| ივრიდან | 21 „ | 15 „ | „ |
| საგარეჯოდან | 11 „ | 58 „ | „ |
| ბადიაურიდან | 12 „ | 56 „ | „ |
| მელაანიდან | 2 ს. | 16 წ. | საღ. |
| გურჯაანიდან | 2 „ | 37 „ | „ |
| კარდენახიდან | 4 „ | 12 „ | „ |
| წნორის-წყალზე | 4 „ | 44 „ | „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | | | |
|---|---|---|---|
| გურჯაანიდან | 3 ს. | 42 წ. | საღ. |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ | 33 „ | „ |
| თელავში | 5 „ | 27 „ | „ |

**თბილისისკენ მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| წნორის-წყლიდან | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| კარდანახიდან | 9 „ | 41 „ | „ |
| გურჯაანიდან | 10 , | 24 „ | „ |
| მელაანიდან | 11 „ | 39 „ | „ |
| ბადიაურიდან | 12 „ | 59 „ | დღ. |
| საგარეჯოდან | 2 „ | 80 „ | „ |
| ივრიდან | 2 „ | 50 „ | „ |
| ვაზიანიდან | 3 „ | 55 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 „ | 58 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 5 „ | 13 „ | „ |
| ბილისში | 5 „ | 28 „ | „ |

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. | 54 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 2 „ | 58 „ | „ |
| გურჯაანში | 10 „ | 07 „ | „ |

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 | ბათომიდან | 5 ს. | 55 წ. | საღ. |
| № 5 | ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | საღ. |
| № 10 | ბათომიდან. | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| | ჯულფიდან | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| | ბორჯომიდან | 7 ს. | 25 წ. | დილ. |
| | „ საგარ. | 10 ს. | 28 წ. | საღ, |

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ | 7 ს. | 3 წ. | საღ. |
| № 6 | ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 | ბათომისკენ | 8 ს. | 53 წ. | საღ. |
| | ჯულფისკენ | 10 ს. | 23 წ. | საღ. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |


წიგნის მაღაზია

„ახალი სიტყვა" („НОВАЯ РѢЧЬ").

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—30)

თევზის მრეწველნი

ძმ. მიზვილოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ, მაილოვის-ძვით", სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


ელექტრომბეჭდავ სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორინსაგა

ეროვნული ბიბლიოთეკა
141



ფელდმარშალი მაკენზენი.



1) ქუჩა დვინსკში; 2) ქ. გროდნა—ქალთა მონასტერი; 3) ქ. ვილნო—კათოლიკეთა ეკლესია; 4) ბელოსტოკი—კათოლიკეთა ეკლესია; 5) ქ. გროდნა—სამხედრო ტაძარი.



თავ. ვოლკონსკი

სახ. სათათბიროს თავმჯდომარის ნაამხანაგარი. დანიშნულია შინაურ საქმეთა მინისტრის თანაშემწედ.

# დამზრალი სიცოცხლე

ყოველ წამ-წუთში სახსოვარო და სანატრელო, ჩემო ძვირფასო დაო, ანიკო! მთლად და პირველად ყოვლად შემძლებელს ღმერთს ვსთხოვ შენს კარგად ყოფნას და ბედნიერებას შენი დაუფასებელი დედმამით და ძმებით. მომიკითხე და დამიკოცნე თითეულად ყველა, განსაკუთრებით პაწა ბიჭუნა, შამშე. სხვა, ჩემს ამბავს თუ იკითხავ, მე კი ვარ ღვთის შეწევნით კარგად, მხოლოდ შენი უნახაობა ძალიან მაწუხებს. ერთად რომ ვიყვეთ, საყვარელო დაიკო, ჩვენებურად გადაუშლიდით ერთმანეთს გულს, ახლა წერილში როგორღაც მერიდება, მრცხვენია. ან კი, მე მგონია, ყველამ იცის ჩემი მდგომარეობა, დასამალავი რა მაქვს! მაგრამ მაინც, დობას გაფიცებ, შენი პატარა ძამიკო ნუ მოგიკვდება, ამ ჩემს ნაჯღაბს ნურავის უჩვენებ და ნურც უამბობ, გქონდეს შენდა გულში. ამ პირობით განდობ ჩემს გრძნობებს: მე დანიშნული ვარ და ლამის წმინდა გიორგის ვსთხოვ, რომ შენც დანიშნულიყო იმაზე, ვიზეც მზე და მთვარე ამოგდიოდეს. ვინ არის ჩემი საქმრო, არ იკითხავ?!.. გახსოვს, ნინუცაის ქორწილზე რომ კოწია სნებაძე იყო: მაღალ-მაღალი, შავგვრემანი, ეშხიანი ვაჟკაცი! პირველ ნახვისთანავე წაიღო იმან ჩემი გული. გაგონდება, შენ ხშირად წამკრავდი გვერდში მუჯლუგუნს: „ქალო სირცხვილია, ნუ იცქირები სულ იმისკენო“. აი ამ კოწიამ დამნიშნა. დაიკო, შენ არ იფიქრო, თითქოს ჩვენგან მისვლოდეს მას შუამავალი, პირიქით, მან მოუგზავნა მამა-ჩემს კაცი. ეს რა სალაპარაკოა, მაგრამ ამას მისთვის გწერ, რომ უკვე ათასს ჭორს გამოაბეს კუდი და აუშვეს. ჩვენს ოჯახში არც ერთმა სულიერმა არ უწყის, რა ნეტარების ცეცხლი აინთო ჩემს გულში. დედმამის შეკითხვაზე, თუ გინახავს კოწიაო, მე კიდეც გავინაზე და ვუპასუხე: არც-კი შემიმჩნევია, ის ქორწილზე თუ იყო-მეთქი. კიდევ კარგი, ამ დროს შენ აქ არ იყავი, თორემ სიცილი წამსკდებოდა. მიქეს, მიდიდეს. მის გარეგნობაზე ახალს რას მეტყოდენ! „ხასიათით კი წყნარია, მორიდებულიო: ერთი გლახა სიტყვა არ ამოუვა პირიდანო. ქონების მხრითაც ჩინებულად არის მოწყობილიო: სოფელში მშვენიერი სახლ-კარი, ქალაქში კარგად გამართული ფართლეულობის სავაჭროო“. ისინი თითქოს მხიბლავდენ კოწიას სიმდიდრით, მე-კი გულში მეცინებოდა: სულაც არაფერი ჰქონოდა, მე მაინც წავყვებოდი-მეთქი. ეს კია, დედმამა შეუძლებელს კაცს არ მიმათხოვებდა. ამისთვის არ იყო, ესიკას რომ [illegible] უთხრა!.. ძლივს გამომტყავეს [illegible] თანხმობა, და გაფრინდა შუამავალი კოწიასკენ... გუშინ საღამოს დავინიშნე. ეს იყო მიზეზი, ამდენი ხნით რომ დაგიგვიანე წერილი; რით გათავდებოდა ეს ამბავი, შენთვის გულით მწადდა შემეტყობინებინა. დაიკო, კიდევ ბევრი მწყუროდა, რომ შენთვის მომეწერა, მაგრამ ვერც კი გავიგე, რომ ორივე ფურცელი გამივსია.

გკოცნის უთვალავს შენი მოსიყვარულე და, დარიკო.

---

სულზე უტკბესო, მუდამ ჟამს მოსაგონარო დაო, ანიკო! პირველად გაკოცებ ათასს. მომიკითხე დიდი მორიდებით მამა-შენი, დეიდა-ჩემი და შენი ძმები. ნიკოლას უთხარი: შენ იცი, ქორწილზე, როგორ მაყრობას გამიწევ-თქო. სხვა, დაო, ჩემს ამბავს თუ იკითხავ, კარგად კი ვარ, მაგრამ დამთვრალსავით დავეხეტები. შენმა გულწრფელმა სიხარულმა, ჩემი დანიშვნით გამოწვეულმა, დიდად მაამა. რა გაუმაძღარი ყოფილა ადამიანის გული! ბედნიერი ხარ, სტკბები, მაგრამ არ ჰკმარობ ამას, გწადია, სხვებიც შეჰხაროდნენ შენს ტკბილს წუთებს. დაიკო, შენ რომ იგერები: „ძეც ქალაქში უნდა გამოვთხოვდეო და გამომინახე ვინმე ჩოფანო კაციო“; „ჩოფანო“ რას ქვია!.. ისეთს კაი ბიჭს გამოგიშვამავლებ, რომ ვარსკვლავს ეთამაშებოდეს, კოწიას ას წილად სჯობდეს, მე ვიცი და ჩემმა ქალობამ!.. დაიკო, შენ გენაცვალე, ჩამოდი ჩვენთან, თან წამოიყვანე შენი პაწაწინა ძმა, შამშე. ძალიან მენატრება. ჩემს მაგივრად შეეხვეწე ჩემს ძვირფასს დეიდას, გამოგიშვას უეჭველად. არც ერთს არაფერი დაგიშავდებათ. გელით მოუთმენლად. ჯვარუსწერა, დაიკო, კოწიას თხოვნით ძალიან დააჩქარეს: მარიამობისთვის ოცისთვის დანიშნეს. ასეთმა სულსწრაფობამ გამოურკვეველი შიში დაასადგურა ჩემს არსებაში. ვეთხოვები ჩემს ქალიშვილობას. მე ვგრძნობ, როგორ უნდა შეიცვალოს ქორწინების დღიდან ჩემი უდარდელი ახალგაზდური ცხოვრება. თავს მძიმე მოვალეობა უნდა ვიდვა ოჯახის მოწყობის, ოჯახის აყვავების. ამდენს ხანს თვითონ სხვისი საზრუნავი ვიყავი, ეხლა კი მე მომიწევს ზრუნვა ქმარზე, შვილებზე. დაო, დავწერე ეს უკანასკნელი სიტყვა და გავწითლდი. მაგრამ, ანიკო, სასირცხო რაა ამაში? შვილებია რომ ოჯახს ამხიარულებს, შნოს და იერს აძლევს. მე მგონია ისინი ქმარზე უფრო მეყვარება. დაიკო, წაიკითხო თუ არა ეს წერილი, დახიე, —არავინ ნახოს; იმდენი რამ სულელური დავჯღაბნე შიგ... ესიკა შემხვ[illegible] მას გამარჯობაც არ უთქვამს ჩემთვის... ახალ ცხოვრების ზღუდეს წამდგარი სწორედ ავადმყოფსავით ვარ. ხშირად მთელი საათობით გაკრინდები ერთს ადგილას ჩემს ფიქრებში წასული... იმის შესახებაც მოგწერდი, რა განვიცადე, პირისპირ რომ დავრჩი კოწიასთან მარტოკა, მაგრამ ამაზე პირადად; ვინძლო ამან დაგაინტერესოს და ჩქარა გამოიქცე ჩემსკენ.

შენი კაი და კეთილის მსურველი დარიკო.

---

საყვარელო დაო, ანიკო! უპირველესს ყოვლისა ქვეყნის შემოქმედს ვსთხოვ შენს კარგად ყოფნას, შენდა კაი ბედიობლის მონიჭებას. მომიკითხე დიდი პატივისცემით შენი ძვირფასი დედ-მამა ძმებითურთ. დამიკოცნე ჩვენი ბიჭიკო, შამშე. შენი წერილი მივიღე და, შიგ რაც ეწერა, მოვისმინე. ჰო, დაო, შენი ჭირიმე, ხშირ-ხშირად მოიწერე, გამაგებინე სოფლის ამბები. მაქ რომ ვიყავი, ქალაქში მიმდიოდა სული, ახლა კი მაქაურობა ძალიან მენატრება. ჩემს კოწოს უნდა ვსთხოვო, თვითონ თუ არ წამოვა, მე მაინც გამომიშვას ორი-სამი კვითირ შინ. რაღაცა შეუძლებლობას ვგრძნობ, მაგრამ, იქნებ, მალე გამიაროს. კოწიასთვისაც არ მითქვამს ჩემი ავადმყოფობა ვიცი, ისე უყვარვარ, რომ უსაშველოდ შესწუხდება. ალბად, აქაურმა ჰაერმა დამცადა, თორემ შენ კი იცი, [illegible] თავის ტკივილი რაა, ის არ მქონია. სოფელში, [illegible], [illegible]-გოს რამე. ვეცდები ამ ერთ კვირაში მოგინახულოთ. მანამდის კი ნახვამდის.

შენი ერთგული და, დარიკო სნებაძე.

---

ჩემო კარგო ანიკო, მომიკითხე ყველა შენიანები დიდი სიყვარულით. შენი სამდურავის წერილი სამართლიანია. მართლაც დაგივიწყე. მაგრამ ჩემი ავადმყო-

# „დედოფალი“

ქუთაისის ფოსტის სადგურზე ტელეგრაფის საპარატოში რამდენიმე თავჩაქინდრული მოხელე ზის და აპარატს უკაკუნებს. თეთრი ქაღალდის ლენტები, შავი პაწია ხაზებით აღბეჭდილი, ბურბუშელასავით გადმოდის და გადმოდის თითბრის გოგორჭებზე.

ღამის ათი საათია.

ივლისის მწვავე სიცხემ იკლო, მაგრამ გაღებულ ფანჯრებიდან მაინც ვერ შემოდის საკმაო სიგრილე. მოხელეები ოფლად იღვრებიან. მოუსვენრობაც ეტყობათ. უფრო ახალგაზდანი მალი-მალ კედლის რგვალ საათს აცქერდებიან. საცაა უნდა გათავდეს მათი მორიგეობა და სხვა წყება მოხელეებისა უნდა შეენაცვლოს.

რამოდენიმე წუთიც და ნელი-ნელ შემოდიან შემნაცვლელნი.

აგერ აწოწილი, ქერა-წვერება კვინიხიძე. ზედ-მიწევნით მცოდნე თავის საქმისა. „პუნქტუალური“. ამხანაგები დასცინიან ნამდვილი „გერმანელიაო“. სანამ ომი გაჩაღდებოდა კვინიხიძეს მოსწონდა კიდეც ერთი სახელწოდება და თვინიერად იღიმებოდა ესეთ შეძახებაზე. ომი რაკი დაიწყო მას შემდეგ დიდათა სწყინს, ბრაზდება, რადგან დიდი რუსის პატრიოტია. „რუსკოე სლოვოს“ გარდა გაზეთს არ იკარებს და ერთი ვაი-უშველებელი აქვს ამხანაგებთან. ამხანაგები მაინც განგებ აჯავრებენ... ერთხელ კვინიხიძე დაემუქრა კიდეც: „ნაჩალნიკთან“ გიჩივლებთო!.. მაგრამ არავის შეშინებია, რადგან იციან, რომ სხეულით არის ესეთი აყლაყუდა და „გაბლეხილი“, თითქო მიუკარებელი, თორემ გული კი კარგი აქვს.

აგერ კიდევ ლაზარე. ლაზრუკა, როგორც ამხანაგები ეძახიან. დაბალი ტანის, პირტიტველა. ბოროტი ენები ამბობენ კარგი კოკორია 24—25 წლის იქნება, მაგრამ ქოსაა და წვერი არ ამოდისო. ამასაც დასცინიან „ქოსაობას“, მაგრამ ყველას კი უყვარს, რადგან ლაზრუკა მეტად მხიარული ხასიათისაა, ხუმარა, დაუდგრომელი. მოწყენა მის სახე-პირმა არ იცის რას ჰქვია. დარდი-მანდი, კარგი საამხანაგო, დაუზარებელი: ხშირად, ძალიან ხშირად თავის მორიგეობას რომ გაათავებს, ეხლა სხვას შეენაცვლება ხოლმე და სხვის მაგივრად ღამეს ტეხს, უძილარია. თუმცა ისეთი სიმრთელის პატრონია, მეორე დღეს ისევ-ისე ცოცხლად და მოუღალავად გამოიყურება. არავის ამხანაგთაგანს არ ახსოვს, რომ ლაზრუკას უარი ეთქვას შენაცვლებაზე, თითქო ყველას ერთნაირი ხალისით ეთანხმება, მაგრამ, ეს კი დიდი ხანია ამხანაგებმა შეამჩნიეს, რომ მაინც და მაინც ყველაზე უფრო სიამოვნებით „დედოფლის“ მაგიერობას ეწევა.

„დედოფალს“ ამხანაგ ქალს ოლა ლაფერაშვილს ეძახიან.

თუმცა „დედოფალს“ რომელი ამხანაგია რამეში უარს ეტყვის?

თითონ კვინიხიძეც კი. იმას ხომ არ უყვარს ესეთი „ნებივრობა“ მოხელეებისა. მაგრამ იმასაც არა ერთხელ გაუწევია „დედოფლის წილ მორიგეობა.

— ლაზრუკა მოხველი?

— ლაზრუკა, ლაზრუკა!—ფხუუ!—ჰიჰი-ჰი!—გაისმის თავ-შეკავებული სიცილი საპარატოში...

— აბა შენ იცი, ბიჭო, ჩამიბარებია შენთვის ამაღამ ჩვენი „დედოფალი“.—ეუბნება ერთი შავთვალა ხუმარა ლაზრუკას.

— მაგას რა ჩაბარება უნდა!—გამოენაცვლა მეორე.—ბიჭმა თვითონ იცის... ლაზრუკას შენ ნუ ასწავლი!..

— იცი, ბიჭო, ჩვენს „დედოფალს“ გუშინ რა დაემართა?—ეშმაკურად იღიმება ლაზრუკა.

— რა? რა?—შემოეხვივნენ გარს ახალგაზდები.

— აპარატი, აპარატი ნუ მიატოვეთ!—შესძახა კვინიხიძემ. თვითონ უკვე ყოველივე დინჯათ გადარიგებული, გამოწყობილ ჰქონდა და უკვე უჯდა თავის ხვედრ მანქანას.

— არაფერია! აკაკუნონ! აი ესენი გაართმევენ თავს...—უპასუხეს ლაზრუკასთან შეგროვილებმა და ახლად მოსულ მოხელეებზე მიუთითეს.

— რა იყო? რა?—შემოეხვივნენ ლაზრუკას ჯგუფს ახლად მოსულები.

ლაზრუკა უკვე მოუთხრობდა:

— გუშინ ხომ კიდევ დიდი ტალახი იყო ქუჩაში. მერე, ბალახვანის ქუჩის ამბავი ხომ იცი, აი საეპარქიო სასწავლებელთან. მერე კიდევ ისეთი ნიაღვარი მოდიოდა რიონის გასახევისაკენ, რომ შენი მოწონებული. მე ბიძაჩემთან ვიყავი, იქით დგას ხომ! მოვდივარ. გავიხედე,—„დედოფალიც“ ნაზად მოგოგმანებს ჩემსკენ. მოადგა ნაღვარევს. უთუოდ გაღმა უნდა გადმოვიდეს, სახლი იქითა აქვს. რა უყო? გავიდე, მივეგებო? მეც ძალიან დავსველდები, პირდაპირ ღულე მოჩქრიალებს. თუ არა და როგორ დავტოვო? „დედოფალიც“ შედგა. თვალით არჩევს სად გადავიდეს. აი დაინახა იქა-აქ ქვები... აიწია ფეხი. ვიწრო კაბა არ უშვებს, მაგრამ ზევი-ზევით კი იკრიბება. აგერ გამოშანთული, ლამაზად მოყვანილი კანჭი გამოუჩნდა... გამოვშტერდი, თვალს ვეღარ ვაშორებ.., ხომ იცით როგორი ტრფიალი ვარ ქალის ფეხისა...

— ჰა, ჰა!—ხრიალებენ მოხელეები.—შენ ხომ რა! მაღაზიის წინ თუ ქალის ფეხსაცმელია გამოფენილი, გულგრილად გვერდს ვერ ჩაუვლი...—უმატებს ერთი მათგანი.

— ამ ამბავში რომ ვარ, შევამჩნიე ატორტმანდა. აგერ წაიქცეს. აქ კი გულმა ვერ მომითმინა. ვისკუპე და მის წინ კი გავჩნდი. თვალის დახამხამების უმალ შევაკავე, მოვხვიე წელზე ხელი და მხარზე შევისვი... „რას ჩადიხართ, ლაზრუკა?..“ შეკრთომით ნაზად მეკითხება, მაგრამ ყურს ვინ უგდებს. მუხლებამდე წყალსა და ტალახში—შლაპ, შლაპ! და გაღმა გავიყვანე.

— აი, ყოჩაღ, ყოჩაღ, ლაზრუკა!.. მაშ წელზე ხელი მოხვიე?

— ეე, ეგე რა? მხარზე შეუსვამს...

— ფეხები, კაცო.—ფეხებზე ხომ ხელი გეკიდა?—კარგი აქვს?—

— უუჰმ—მშვენიერება!—თითქმის ამოიკვნესა ლაზრუკამ.

— ჰა, ჰა, ჰა!—შეზანზარდა კედლები მოხელეთა ერთბაშა სიცილისაგან.

— ჩუმად, ჩუმად!—გაისმა კვინიხიძის ბრძანება.—აპარატებს მოუსხედით!

ყველანი მართლაც უცბად დაჩუმდნენ, რადგან სწორედ ამ დროს შემოვიდა თვით „დედოფალიც“, ოლა ლაფერაშვილი.

— ვაიმე! ხომ არაფერი გაუგონია!

—ჩუმად ჩულაპარაკა ლაზრუკამ ამხანაგებს.

— ფხუ! ჰი-ჰი-ჰი!—მოისმა იქა-აქ პასუხად.

— Что это такое? Чего вы хихикаете?—ამ ფრაზით შემოიჭრა რუსი ტელეგრაფისტი არლოვი.—Аа, это должно быть Лазрука!—და თვითაც გაიღიმა. შემდეგ უეცრად მკაცრი სახე მიიღო და მოხელურ თავაზიანობით „დედოფალს“ ხელი ჩამოართვა.

„დედოფალი“ თავის მანქანასთან ლენტებს ახვევდა, „ბლანკებს“ აწყობდა და ფანქარს იმარჯვებდა. მანაც არლოვს თავაზიანი სალამი მისცა.

ახალი მორიგენი თავ-თავის ალაგას დადგნენ. წინანი ნელ-ნელა გაიძურწნენ.

— Габададзе! Это что такое?—დასჭყივლა არლოვმა. შავ-თვალა მოხელე უეცრად გამობრუნდა. არლოვმა ქაღალდის ლენტზე უჩვენა. ზედ რუსული მაგარი გინება იყო აღნიშნული. გაბადაძეს დაუწყებოდა მოხევა. გაეცინა.

— Это изъ Сухума ругаются!..

— Ай-ай-ай!—მოხელურად ჩაუბოხისხმავა არლოვმა.—აი თურმე რას აკეთებთ! მერე ამისთანა საშინელ დროს, როდესაც სამშობლო განსაცდელშია! ყოველი წუთი ძვირფასია და თქვენ კი ერთი მეორეს აგინებთ.—ხაზინა აქ რა შუაშია: ტყუილა გაძლევთ ჯამაგირებს, მედაჩემმა ღმერთმა! Голопятый грузо!—

— Ну, ну!—ხუმბრობ, შეყოლებულ მუქარით გადმოსძახა ლაზრუკამ.

კვინიხიძეს ულვაშებში ჩაეცინა. შავთვალამაც მორჩილად გაიღიმა და კარებში გაძვრა.

„ორმოცდაათი ფუთი შაქარი ეგზავნება კინწურეიშვილს“.

სწორედ ამ დროს ამოიკითხა „დედოფალმა“ და თავის ალაგას აღნიშნა.

სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ საათის და მანქანების კაკუნი-ღა მოისმოდა. თითქო მეტად ჩამოცხა.

Адски жарко!.. Вы позволете?—მომართა არლოვმა ოლას და უჩვენა რომ პიჯაკის გახდას ლამობდა.

— Пожалуйста! სათნოდ უპასუხა ოლამ.

არლოვმა მადლობა გადაუხადა და პიჯაკიც გაიძრო. თან დაიწყო იმის ლაპარაკი, რომ ქალები უფრო ბედნიერები არიან მამაკაცებზე. აი მაგალითად რა თხელი ნაქსოვი აცვია ოლას! თითქმის ხორციც კი მოუჩანს... რაღა თქმა უნდა ესეთი ტანთსაცმელში ქალებს არ დასცხებათ...

თან ცდილობდა არლოვი, რომ რაც შეიძლება ლამაზი და რჩეული სიტყვები ეხმარა მისი აზრის გამოსათქმელად. მას ამ წრეში ყველაზე უფრო ზრდილობიანათ მიაჩნდა თავი და საზოგადოთ „ტუზემცებს“ მეტის ამრეზით ეპყრობოდა. თუმცა ყველაზე წვრილი მოხელე იყო, მაგრამ ისე ეჭირა თავი თითქო ყველას ბატონიაო. რუსი ვარ და მაშასადამე უპი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

წლის დამლევამდე ღირს 4 მ.; 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ.; ერთის თვით—90 კ.

ფოსტის ადრესი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, 4. ფოსტის ყუთი 76.

ფობის გამო თავი არ მახსოვს. შენ ასე არ დამძრახავდი, რომ იცოდე, რა არის ჩემს თავს. ღმერთმა, დაო, ნურც გაცოდინოს! ამ ორ თვეში რაც მე ტანჯვა-წვალება გამოვიარე, ის ზეციერმა მტერსაც ააშოროს. აწ რა მომელის კიდევ?—კარგი არაფერი. ანიკო, ავადა ვარ იმნაირი სასირცხო სენით, რომ სულიერს ვერ ვეტყვი მის შესახებ, ვერ შევსჩივლებ ჩემს ტკივილებს, რომ მით ცოტათი მაინც გული მოვიოხო. შენ ჰკი- [illegible] და, ალბად, გიკვირს, რას სჩმახავს დარიკო, ჭკუაზე ხომ არ გადასულაო. ნეტავი, მართლაც გადავრეულიყავი,—ეს პატიოსანი ავადმყოფობაა,—მხოლოდ ამ ყოფაში არ ჩავვარდნილიყავი. ქმრის წაყოლა იმისთვის მიხაროდა, რამე სიკეთე დამეყრება-მეთქი. ასეთი სიკეთე ჩემს ავის მდომს! ჩემს ავადმყოფობის წინა წერილში გწერდი, ჰაერი მცდის-მეთქი. კოწიასაც ასე ეგონა. მაგრამ ბოლო დროს სულ უარესობა და უარესობა დამიწყო. ჩემს შემხედვარეს კოწიასაც ეკარგებოდა დღითი-დღე ფერ-ხორცი. აგრე რიგად იტანჯებოდა! ეს რომ შევატყვე, უფრო უმალავდი ჩემს სატკივარს. ვფიქრობდი, დღეს გამიარს, ხვალ-მეთქი. მაგრამ, თურმე, ასე იოლად მოგეშვებოდა! წარსულ კვირის ხუთშაბათ დილით კოწიამ მტკიცე გარდაწყვეტილებით მითხრა: „დღეს უეჭველად ექიმთან უნდა წავიდეთო. ასე [illegible] ვაოგა ავადმყოფობისაო". წინადაც ბევრჯერ მიმიწევდა ექიმთან, მაგრამ მე უარზე ვიყავი, მესირცხვებოდა როგორღაც. ახლა კი დავთანხმდი. ჩემი სატკივარი რომ მცნობოდა, არ ვიცი, რომ წავყოლოდი; სჯობდა, ისე მომკვდარიყავი. ჯოჯოხეთი მე ექიმის კაბინეტში გავიარე. კოწიასაც უნდოდა ჩემთან ერთად ექიმთან შემოსვლა, მხოლოდ მე არ ვქენი. გულის ფანცქალით შევედი ოთახში. ექიმი მაგიდას უჯდა და რაღაცას სწერდა. მან ზანტად აილო თმა-შევერცხლილი თავი და მომაშტერდა. მე შევწრფი და თვალები ძირს დავუშვი. წამწამების ქვეშ რომ გავხედე მას, მის სახეზე ღრმა სევდა წავიკითხე. „ეხ", ამოიოხრა მან და სახელ-გვარი და წოდება მკითხა. გვარი რამდენჯერმე გაიმეორა, თითქოს ეცნობაო. „თქვენ ჩემთან ყოფილხართ კვლავო". არა-მეთქი. დამიწყო სინჯვა. „ასე ახალგაზრდა, მშვენიერი", ლუღლუღებდა ის თავისთვის. [illegible] „თქვენ ქმრიანი ხართ, თუ უქმროო?" დამეკითხა ექიმი. ვუპასუხე. „თქვენი ქმრის გვარია სნებაძე? ჰო, მომაგონდა... რა ჩაუდენია ეს იმ უსინიდისოს!" წამოიძახა მან უეცრად, თან მაშინათვე ბოდიში მოიხადა ჩემთან ლანძღვისთვის. „მე კი ვეუბნებოდი მას, ნუ მოიყვან ქალს-მეთქი", განაგრძობდა ის, „ან ცოტა კიდევ დაიცადე, სანამ მთლად ჩავაქრობთ ავადმყოფობას-მეთქი .. ოჰ, რა დაუდევრობაა! . თქვენ ქმრისაგან ხართ ავად", სთქვა ექიმმა დასასრულ და დამისახელა ჩემი სენი, მიკვირს, გული როგორ არ წამივიდა ამის გაგებაზე, ალბად, ექიმის ნათქვამს უცბად ვერ დავუჯერე. ისე კი გავშეშდი მუმიასავით, პირში ნერწყვი გამიშრა, მკერდ-ქვეშ რაღაცა ძაფი გაწყდა. ის ძაფი იყო კოწიასადმი ნდობის და სიყვარულის... დაო, დაო ანიკო! რად მოიქცა ასე უნამუსოდ? თუ მოვსწონდი და ვუყვარდი, რად შემირთო თვით დასნეულებულმა და მის სიბინძურეში მეც გამსვარა?.. ეს არის სიყვარული?!. ღმერთა უზღოს... მაგრამ, საცოდავს რომ უყურებ, გული მიკვდება, ისე ჩამოღრა ჩემი მაცქერალი. თავზე მევლება, ფულს მიხარჯავს, საკუთარს ავადმყოფობასაც ივიწყებს თავის მართლებასაც სცდილობს, მაგრამ, დაო, მე ეს რას მიშველის? ამბობს: „მეგონა, მოვრჩიო, ექიმს კი არ დაუჯერე მე შტერმაო. ვფიქრობდი, ის იმიტომ მაფრთხილებს, უნდა ნელ-ნელა მაძროს ტყავი-მეთქი. აბა, რა ვიცოდი, არაფერი მტკიოდა და მაწუხებდაო". ვეჭობ, დაო, გულწრფელად მეუბნება ამას კოწია, თუ სტყუის; ისე გამიტყდა ჩემდა უნებურად მაზედ გული. მხოლოდ ის კი, რა უნდა იცოდეს, უსწავლელმა კაცმა!.. სოფლის კლასი თუ გაუთავებია კოწიას, მეტი არა. ჩვენ კი, სოფლელებს, თუ კაცი კოხტად გამოეწყო, ორი-სამი თვე ქალაქში გაიარ-გამოიარა, სწავლული გვგონია, გონება გახსნილი. არ ყოფილა, დაო, მასე, არა. გადავხედე ჩემს დანაჩხრეკს და გამიკვირდა: რამდენი დამიწერია! მაგრამ მწუხარება, თურმე, დაუსრულებლივ გალაყბებს. ბევრის ბევრი მაქვს სათქელ-სალაპარაკო, მაგრამ თავს არ მოგაბეზრებ, რომ აგშორებოდეს ჩემნაირი ხვედრი, ისეთს ქმარს წაჰყოლოდე, რომ შემდეგ სინანულად არ დაგვრჩენოდეს.

შენი კარგად მყოფთა შორის გამოთიშული დარიკო.

ი. ქავჟარაძე.

(დასასრული იქნება)

---

რატესიცო, ფიქრობდა იგი და არცა მალავდა ამას. მაგრამ ერთხელ კი ლაზრუკამ ჭკუა ასწავლა „ტუზემცების" ავად ხსენებაზე, და შემდეგ ცოტა უფრო ენა დაიმოკლა, თუმცა ზოგჯერ, ჩვეულებისამებრ, წამოცდებოდა ზოგ-ზოგი ამხანაგობაშიაც არავის თავს არ უყადრებდა, მხოლოდ კვინიხიძესთან იყო ცოტა ხათრიანად, რადგან ატყობდა, რომ კვინიხიძემ მაზე მეტი იცოდა სამსახურისა, ლაზრუკასაც იმ სანახსოვრო შელაპარაკების შემდეგ ერიდებოდა და ოლას მოხელურის, უფროსულის თავაზიანობით მაგრამ სხვანაირ გულისთქმითაც ეპყრობოდა.

ეხლაც ლაზრუკას არლოვის ლაპარაკზე გაეცინა. გაიფიქრა:

— ჰმ... ეარშიყება!.. ჭკუით იყავ, თორემ...—მაგრამ არაფერი არ უთქვამს. ახალმა დეპეშამ გაიტაცა. უეცრად წამოიყვირა:

— Господа!.. ჩვენებს თათრის საზღვარზე უკან დაუხევიათ.

— Не можетъ быть!.. ერთხმად შესძახეს კვინიხიძემ და არლოვმა. ოლამაც მიაქცია ამ ამბავს ყურადღება და ცოტა ფერმა გადაჰკრა.

ლაზრუკამ უჩვენა ლენტები.

კვინიხიძემ და არლოვმა თავები გაიქნიეს და გაიბა მათ შორის პოლიტიკური საუბარი.

სხვა მაგიდებზე კი ისევ-ისე შრიალებდნენ ლენტები, ისევ ისე განუწყვეტლივ აკაკუნებდა მანქანები.

მხოლოდ ოლას გაუშტერდა თვალები და ცოტა ხნით მუშაობა შესწყვიტა. ფიქრებმა მოიცვა მისი ნაზი თავი.

— უკან იხევენ... ჩემი კოწია ხომ ოსმალეთის ფრონტზეა... უუჰ, დასწყევლოს ღმერთმა, ეს საშინელი ომი... გუშინ ნაფეტვარიძეს არ მოუვიდა შვილის სიკვდილის ამბავი!.. რა მშვენიერი ბიჭი იყო!., აარა, ღმერთმა დაიფაროს!.. მაგრამ რა სულელი ვარ... გუშინ არ მომივიდა დეპეშა ჩემს კოწიასაგან: „სრულიად ჯანსაღადა ვარ... ნურაფრის გეშინიან. . დედასაც გადაეცი ჩემი ამბავიო"... გუშინვე გადავეცი დედა მისს, მინადორას, დეპეშა... რა გახარებული იყო! საღამოთიც ჩაიზე არ გამომიშვა... რა კარგი ქალია!.. რა ტკბილი, სათნო... ო, როგორ შევეწყობით... სულ არ ვემსგავსებით ჩვენ ჩვეულებრივ რძალ-დედამთილს... როგორ ვუყვარვარ! მაინც რაც კოწია ომში წავიდა, როგორ მანებივრებს!.. პირდაპირ შვილად მივაჩნივარ... თითქო მთელი სინაზე კოწიას სიყვარულისა ჩემზე გადმოიტანაო... ან განა შეიძლება კოწიას დედა სხვანაირი იყოს!.. ჩემი კოწია. ის სარსარაკი ის... ჰმ... სარსარაკი! ეს სიტყვა თვითონ მასწავლა... რას ნიშნავს არ ვიცი, სომხური თუა! მაგრამ ისე მომეწონა, რომ შემდეგ სულ ასე ვეძახდი...

მოურევნელმა სურვილმა შეიპყრო და „რიდიკულისაკენ" ხელი გასწია. გაალო და რომ არავის შეემჩნია, „რიდიკულს" ცხვირსახოცი მოაფარა და ამოღებულ პაწია ხურათს სიყვარულით დააჩერდა.

ზედ-გამოსახული იყო ახალგაზდა, ცოცხალ-თვალებიანი და კოკობ-ულვაშა ქართველი პორუჩიკი.

რამდენი რამ უთხრეს ამ თვალებმა, ამ ულვაშებმა ოლას შეგნებას:

მთვარიანი ღამეები. ჰომისკენ ეტლით სიარული. თეატრში ერთად ყოფნა და ოლას მოცლილობის დროს გრძელი, დაუსრულებელი, ზამთრის ღამეები მათსა, ოლასას კოწიასთან ერთად... ან და აქ, სააპარატოში ხშირად მის გვერდით მჯდომი, განგებ, ოლას სანახავად მოსული კოწია... შემოიპარებოდა ხოლმე, ხშირად ნაშუაღამევს და ორივენი ჟღურტულებდნენ ვინ იცის რას... ხშირად შეშლია დეპეშის გადაცემა, გაჯავრებია კიდეც კოწიას, მაგრამ მაინც რა საამური იყო ეს წუთებიც...

ერთი კიდევ დახედა სურათსა ტანში ტკბილმა ჟრუანტელმა დაურბინა:

— ეხლა რაღა იცით კოწიასი?—უეცრად მოესმა ოლას არლოვისაგან, რომელსაც პოლიტიკური საუბარი უკვე გაეთავებინა. მოულოდნელი და უხეში იყო ეს შეკითხვა. ოლამ ინსტიქტიურად სურათი გადამალა და თვითონაც ყურებამდე გაწითლდა.

ლაზრუკამ შეამჩნია სურათის გადამალვა და თითქო ბედს შერიგებული, მაგრამ მაინც „განაწყენებული", კვლავ სამუშაოს ჩაუღრმავდა.

ოლამ აუხსნა არლოვს, რომ გუშინ მშვიდობის დეპეშა ჰქონდა მიღებული.

არლოვმა მოვალეობათ ჩაითვალა ენუგეშებინა ახლად დანიშნული ქალი და განეცხადებინა, რომ კოწიას არა დაუშავდებოდა-რა.

ოლამ თითქო ვერაფერი გაიგოვო არლოვისა, ერთი განცვიფრებით შეხედა და სამუშაოს მოჰკიდა ხელი.

— რათ ეძახიან დედოფალს? ვინ დაარქვა?—ფიქრობდა თავჩაქინდრული ლაზრუკა და მანქანის შემწეობით იმავ წამს სასტიკად აგინებდა ერთ ბათომელ ნაცნობ ტელეგრაფისტს.—ამოგივარდა ოჯახი! ეს რა გადმომეცი? ვერაფერი გავიგე!—უკაკუნებდა ლაზრუკა გაცხარებით ვინ დაარქვა?—უფუსფუსებდა მაინც თავში. გაეცინა.—ჰმ.—ეს მითოლოგიური ამბავია... არავის ახსოვს, გარდმოცემაც კი არ არსებობს... თავისთავად შეერქვა ოლას დედოფლობა. . ამაზე ყველანი თითქო იდუმალათ შევთანხმდით. განა დედოფალი არ არის?—და ცალი თვალი შეაჭყიტა ოლას პროფილს.—მედიდური იერი, ცხვირ-სურათა, თვალ-მშვენიერი, რომელშიაც მთელი ზღვა დგას რაღაც უტეხი სითამამისა და სანეტარო საიდუმლოებისა, ტანადი, მოხდენილი, მკერდ-მაღალი და ხელები.—ოო, ხელები... მართლა ბროლისაა თუ ყველას ეგრე გვეჩვენება?.. ეხლა საქციელი, მიხვრა-მოხვრა, სიარული? ერთ ქალად მისი სიარული ღირს... ააჰ, ფეხები! რა ფეხები ჰქონია დალოცვილს... ჩამოსხმული, ქანდაკება!.. აბა სხვა ჩვენ ტელეგრაფისტკებს კი არა ჰგავს... პრანჭია და გრეხიები... დედოფალია! ეხლა ლაპარაკი! შაქარია, თაფლია?..

გულში მხიარულება იგრძნო ლაზრუკამ და თითქო გაბედნიერდა. კიდევ უფრო მეტის სიგიჟით უწყო გინება მის შორეულ ამხანაგს, მაგრამ ამხანაგმა ერთი ორი ისეთი მოარტყა, რომ სამამაცო გუნება სულერთიან მოეშალა. ეხლა უფრო ქვე-დაწეულ კილოზე იწყო ფიქრი:

ყველა ეს ასეა. დედოფალია; მაგრამ მერე მე რა?.. აა, ის შეჩვენებული კოწია.—კარგი ბიჭი კია ის წყეული... მერე რანაირად უყვარს ამასაც... იმიტომ, აბა კარგი დედი—მისი შვილია ვინმემ ერთი რამე გაუბედოს... ეს ჩვენი არლოვი?.. დაიკარგოს .. ქეციანი!

სათმა ორი დარეკა.

დუმილია ირგვლივ. თავჩაქინდრული სხედან ყველანი და ისმის კაკუნი მანქანისა და შრიალი ლენტების. მხოლოდ არლოვს „ჩაყვინთებია".

უეცრად ოლას ხელი აუთრთოლდა. თვალთა ხედვა აერია. ეს რა გამოდის ქაღალდის ლენტებზე?.. ვერაფერს ვერ არჩევს... „კოწია"... მხოლოდ ეს სახელი ცეცხლის ასოებით შეიჭრა გონებაში.

წამოდგა. შუბლზე ხელი გადაისვა, თითქო გონება შემოიკრიფა. ლენტი ამბობდა:

„გადაეცით საბრალო კოწია ქინქლაძის დედას, რომ მისი შვილი გმირულათ მოკვდა ბრძოლის ველზე. ზარბაზნის გასალებთან ნახეს მიციებული".

ამას იტყობინებოდა კოწიას ამხანაგი პორუჩიკი საკანდელიძე. ატყობინებდა ერთ მის ნაცნობს ქუთაისში.

— ააჰ!—რაღაც მხეცური ღრიალი ალმოხდა ოლას გულიდგან და მოკვეთილივით დაეშვა სკამზე.

მოხელენი ყველანი წამოცვივნდნენ და გარშემოესვიენ. არლოვსაც გამოეღვიძა.

— რა მოგივიდათ, რა?—ვერავინ მიხვდა მიზეზს.

პირველმა ლაზრუკამ წაიკითხა დეპეშა.

— უუჰ, საწყალი!—ყველამ გულწრფელად შეიბრალა და ქალს მობრუნება დაუწყეს.

ოლა მობრუნდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ერთი ისეთი შეჰკივლა, ყველას გული შეზარა.

— დედაუ!.. კოწია!

და სოფლის ქალივით, რაც ძალი [illegible] ღონე ჰქონდა, ლოყა ჩაიკაწრა.

ხელები გაუკავეს, ასწიეს, საა[illegible]ტოდან გაიყვანეს და დერეფანში ს[illegible] ჩამოსვეს.

იქ დარაჯები და კასის მცველი [illegible]რისკაცებიც შეჯგუფდნენ.

— Кто, кто телеграфирует?—კითხულობდა არლოვი.

— საკანდელიძე.—უპასუხა კვინიხიძემ.

— Что за фамилія, Боже ты мой... Скандаладзе... А надо провѣрить барышнѣ...

— ვითომ ანუგეშებდა არლოვი ოლას.—ჯერ შტაბიდან უნდა გაიგოთ ნამდვილი ამბავი, თორემ ეგრე როგორ იქნება...

მაგრამ გულ-ამომჯდარი ოლა საცოდავად ყმუოდა და ცრემლები არ ეკარებოდა მის თვალებს.

ეტლზე გაგზავნეს კაცი.

ლაზრუკას ოლას ნატიფი მკლავი ეპყრა და ჩუმად, თავისთვის ცრემლად იღვენებოდა.

შალვა დადიანი.